ეროვნული ბიბლიოთეკა
645/2003/2
1:8

# საქართველოს მოდა






2003

## ნინო გოგიბერიძის შემოქმედებით მოხიბლული სლავა ზაიცევი:

„მადლობა საქართველოს, რომ მუდამ გვახარებს ხელოვნებისა და მოდის სამყაროში მომუშავე ნიჭიერი ადამიანებით“

№ 3-4

ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ლია კაკაბაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- მარინე ნაკაიძე

ნანული ზუკია
ტექნიკური რედაქტორი

დამფუძნებლები – ჟურნალ „საქართველოს ქალის" ჟურნალისტები

რეგისტრაციის №06/4 897

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

რედაქციისაგან შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

„Sakartvelos Kali"

Georgian Woman. A Magazine for Women



# ომი... დაიწყო და დამთავრდა

წლევანდელმა გაზაფხულმა მძიმე გამოცდა მოუწყო მსოფლიოს – ერაყში ომის ცეცხლი დაინთო. სადამ ჰუსეინის დიქტატორულმა რეჟიმმა არ შეისმინა არანაირი გაფრთხილება – ხელი აელო მასობრივი განადგურების იარაღის დამზადებაზე და... კოალიციის ჯარები იძულებული გახდნენ ერაყში შესულიყვნენ.

საქართველოს საზღვარი ერაყისგან 500 კილომეტრითაა დაშორებული.

ჩვენ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებმა და სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებით ვალდებულებმა შეერთებულ შტატებს თანადგომა გამოვუცხადეთ.

მსოფლიო აზრი თავიდანვე ორად გაიყო. ერთის მიმდევრები ის ქვეყნები არიან, შტატებთან ერთად რომ გმობდნენ ტერორიზმს და [illegible]ულებული იყვნენ საომარი მოქმ[illegible]დებისთვის მხარი დაეჭირათ. მეორე აზრის მიმდევრები ომს სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად თვლიდნენ, ერაყთან დაპირისპირებას თავს არიდებდნენ და გაეროს როლზე საუბრობდნენ. ომის მოწინააღმდეგეთა შორის ის სახელმწიფოცაა, რომლის წარმომადგენლებიც იარაღით ამარაგებდნენ ერაყს. სწორედ ამ იარაღს იყენებდნენ ომში ერაყელები.

წლევანდელი გაზაფხულის ერთ დღეს დაწყებული ომი 27 დღეში თითქმის დასრულდა. დაეცა ბაღდადი, სხვა ქალაქებიც, სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაემხო, თავად სადამი ჯერჯერობით არსად ჩანს.

ერაყის მოსახლეობა ზეიმით და ყვავილებით შეხვდა კოალიციის ჯარებს. მითი ჰუსეინის არმიის ძლევამოსილების შესახებ ისევე დაიმსხვრა, როგორც დიქტატორის ძეგლი ბაღდადის ცენტრში.

შეერთებული შტატების ევროპელი ოპონენტები – რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია მოითხოვენ, რომ ერაყი გაერომ მართოს. გაეროს კი უშიშროების საბჭო მართავს, რომლის მუდმივი წევრებიც რუსეთი და საფრანგეთი ვეტოს უფლებით სარგებლობენ. გამოდის, რომ ვაშინგტონმა და ლონდონმა ერაყის დიქტატურის დასამხობად თავიანთი თანამემამულეების სიცოცხლე და დიდძალი ფინანსები იმისთვის გაწირეს, რომ რუსეთსა და საფრანგეთს ხელი მოეთბოთ.

შეერთებულმა შტატებმა რუსეთს შეახსენა, რომ ერაყის დროებითი ადმინისტრაციის დაკომპლექტება კოალიციის პრეროგატივაა და რომ იგი 8 მილიარდ დოლარს – ძველ ვალს – უნდა დაემშვიდობოს.

ბუნებრივია, მალე ერაყში აღმშენებლობა დაიწყება, რომელშიც მონაწილეობა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია. ომის დროს საქართველო, როგორც შტატების მოკავშირე, მას თავის სამხედრო ბაზებს სთავაზობდა. ომისშემდგომ პერიოდში იგი მზადაა ერაყში აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად ქართველი სპეციალისტები გააგზავნოს.

# სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი

მრავალ ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის განსაკუთრებული ბრწყინვალებით გამოირჩევა აღდგომა ღვთის ძისა და ღმრთისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მაცხოვარმა ჩვენმა თავისი სიკვდილით დაამარცხა კაცობრიობის უბოროტესი მტერი სიკვდილი და საუკუნო სიცოცხლე აღგვითქვა. „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავებისა შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი!“ – ამ სულის აღმავსებელ სიტყვებს გალობს მართლმადიდებელი მრევლი ორმოცი დღის განმავლობაში – აღდგომიდან ამაღლებამდე, ეკლესიასა თუ ოჯახში თავისი ხატების წინ.

რამხელა თავმდაბლობა, რამხელა თავგანწირვა გამოიჩინა ღმერთმა ჩვენდამი – განკაცდა, თავის შექმნილს აშობინა თავი, თანაც, სად? – ბაგაში, პირუტყვთა შორის; მეუფე ცისა და ქუეყანისა, ჰეროდე მეფისგან დევნილი, ეგვიპტეში გაიყვანეს დედამ და იოსებ მართალმა, ნაზარეთში დაბრუნებული კი ისეთსავე სიღარიბეში იზრდებოდა, როგორშიც მისი თანატოლი ნაზარეველი ყმაწვილები... მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელი მდინარე იორდანეში მოინათლა, იოანე ნათლისმცემლის მიერ, – ორმოცდღიანი უმკაცრესი მარხვის შემდეგ ეშმაკისაგან გამოიცადა უდაბნოში და ამა ქვეყნის ძლიერთაგან დევნილი, ბოლოს ზურგზე ჯვარაკიდებული აიყვანეს გოლგოთაზე და ჯვარს აცვეს... რა იცოდნენ ჯალათებმა, იესო ქრისტემ იმ ჯვარზე კაცობრიობის ცოდვები რომ მიამსჭვალა, მისი ჯვარცმული ხორცი მარადიული პური არსობისა რომ გახდა და მისი დათხეული სისხლი დაუშრეტელი წყაროდ იქცა უკვდავებისა.

იესო ქრისტემ თავისი აღდგომით ჯოჯოხეთის ბჭენი შემუსრა და თავის ღირსეულ მიმდევართ საუკუნო სიცოცხლე და სიხარული აღუთქვა.

უფლის აღდგომა კაცობრიობის საყოველთაო აღდგომის საწინდარია; – ამ საკითხზე შესანიშნავად საუბრობს პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ მიწერილ პირველ ეპისტოლეში: **„ხოლო თუ ქრისტეზე იქადაგებთ, რომ ის აღსდგა მკვდრეთით, როგორღა ამბობს ზოგიერთი თქვენგანი, არ არის მკვდრეთით აღდგომაო? მკვდრეთით აღდგომა თუ არ არის, ქრისტეც არ აღმდგარა. ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ჩვენი ქადაგებაც ფუჭია და ფუჭია თქვენი რწმენაც...**

**... მაშინ ისინიც დაღუპულან, რომელთაც ქრისტეში განისვენეს. და თუ ჩვენ მხოლოდ ამ ცხოვრებაში ვართ**



**ქრისტეს მოიმედენი, ყველა ადამიანზე საცოდავი ვყოფილვართ. მაგრამ მკვდრეთით აღსდგა ქრისტე, განსვენებულთაგან პირველი, ვინაიდან, როგორც კაცის მიერ მოვიდა სიკვდილი, ასევე – კაცის მიერ მკვდრეთით აღდგომა. ვინაიდან, როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე გაცოცხლდებიან ქრისტეში. და თითოეული თავისი წესით: პირველად – ქრისტე, ხოლო შემდეგ ქრისტესნი, მისი მოსვლისას.“**

ამ სიტყვების დადასტურებაა თავად მაცხოვრის მოწოდება: **„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე, მამასთან ვერავინ მივა, თუ არა, ჩემით.“** მამასთან კი უამრავი სანახებია, რომლის მშვენიერება, წმიდათა განმარტებით: თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცის გონებას ვერ წარმოუდგენია.

დღეს ჩვენი თანამოძმეების უმრავლესობა ეკლესიურია, მაგრამ მეორე ნაწილი რატომღაც დუმილს ამჯობინებს, – თითქოს გაცნობიერებული აქვთ ღვთის არსებობა, მაგრამ საკუთარი გულის კანონებით ცხოვრობენ, ჰგონიათ, რომ სახარებისეული კანონები მათ არ ეხებათ. არა და, რაოდენი სიყვარულით მოგვიხმობს უფალი: „ტვირთი ჩემი სუბუქ არს და უღელი ჩემი ტკბილი.“ ვინც თავს არიდებს უფლის უღელს, საუკუნო სამსჯავროს მაინც ვერსად გაექცევა, – მაშინ კი, სამწუხაროდ, ყოვლად უნაყოფო იქნება სინანული და თავის მართლება.

ნეტარი ავგუსტინე, რომელიც ძნელადსავალი გზებით მივიდა ეკლესიაში, წერს: **„სულიწმიდის მადლით დაჯილდოებული პიროვნება ეკლესიურია... ეკლესიის გარეშე მყოფნი მოკლებულნი არიან სულიწმიდას; – თუ სხეულს რომელიმე ნაწილს მოვკვეთთ, ის ნაწილი შეინარჩუნებს ფორმას, ვთქვათ, – თითის, ხელის ან ყურის, მაგრამ მასში არ იქნება სიცოცხლე; – ასეთია არაეკლესიურთა მდგომარეობაც.“**

ვისაც სხეულის მოკვეთილი ნაწილივით ყოფნა ურჩევნია, ის აღდგომის მადლს ვერ მიიღებს, მისთვის იესო ქრისტე „ცხოვრების მიმნიჭებელი“ ვერ იქნება. არა და, რომ იცოდეს ადამიანმა, რაზე ამბობს უარს ამაო ზრუნვასა და ფაციფუცში!..

უფალი არავის აიძულებს, გინდა თუ არა, შემომიდექიო, არამედ არჩევანის საშუალებას აძლევს: **„რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯვარი თჳსი და შემომიდებინ მე.“** ზოგი შეიძლება დაფრთხეს, – რას ჰქვია, საკუთარი თავი უარვყოო, ან, როგორ ვატარო ის ჯვარი, რომელზედაც უფალი მითითებსო?! – ამ შემთხვევაში „თავის უარყოფაში“ ადამიანის პიროვნული უარყოფა კი არ იგულისხმება, არამედ – პიროვნებაში ჩაბუდებული უარყოფითი თვისებები და ბილწი ზრახვები. რაც შეეხება ჯვრის სიმძიმეს, ეს ის ჯვარია, რომლითაც მიდის ადამიანი თავის აღსასრულისკენ – ცხოვრებისეული სიძნელეები, განსაცდელები...

ყველა პიროვნებას თავისი ჯვარი აქვს – ზოგს მცირე, ზოგს – დიდი. ხშირად მცირე ჯვრის მტვირთველებს ჰგონიათ, რომ ყველაზე მძიმე ჯვარი მათია და დრტვინავენ, აქეთ-იქით აწყდებიან, ამით კი უფრო იმძიმებენ ტვირთს.

ყველა ადამიანი საკუთარი გოლგოთისაკენ მიიწევს. ხშირია დაცემა, მაგრამ როგორც იესოს შეეშველა სვიმონ კვირინელი, ჩვენც ხელი უნდა გავუწოდოთ დაცემულს და ამით უფრო შემსუბუქდება ჩვენი ჯვარი, – მერე ჩვენც შეგვეშველებიან...

**„იყუარებოდით ურთიერთ-არს, რამეთუ ერთობით აღგიარებდეთ!“** – ბრძანებს უფალი, რომელიც თავად არის დაუსაბამო სიყვარული, რომელიც ჩვენდამი უკიდეგანო სიყვარულის გამო **„განკაცდა და ჯვარს ეცვა... და აღსდგა მესამესა... დღესა და ამაღლდა ზეცად...“** და, ეს ყოველივე ჩვენი აღდგომისათვის, ჩვენი ცოდვათაგან გამოხსნისათვის მოიმოქმედა...

ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე და შევთხოვ უფალს, საყოველთაო აღდგომისას ყოველ ჩვენგანს მოეფინოს თვალშეუდგამი ნათელი ღვთისა.

ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მოსაწყენად არ მცალია“

თბილისი ის ქალაქია, სადაც ყველამ ყველას შესახებ ყველაფერი იცის. მაგრამ დღეს, როცა ადამიანებში გაღიზიანება და აგრესიულობა სჭარბობს, არც თუ ისე იშვიათად დადებითს უარყოფითად აღიქვამენ, გულმოდგინებას მოჩვენებითობად მიიჩნევენ, ქველმოქმედებას – ფარსად, სიკეთეს – სიყალბედ.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემს რესპოდენტზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველა „პირობა“ აქვს ხალხის ყბაში ჩასავარდნად, კარგის მეტი არაფერი მსმენია.

მაშ ასე, წარმოგიდგენთ ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის პირველი პრეზიდენტის, პროფესორ რევაზ ვეფხვაძის ქალიშვილს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრევენციული მედიცინის კათედრის გამგეს, ჟურნალ „პრევენცია, კულტურა და კომუნიკაციის“ მთავარ რედაქტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს და ბოლოს, სახელმწიფო მინისტრის ბატონ ავთო ჯორბენაძის მეუღლეს /ესეც ერთგვარი თანამდებობაა, თანაც საკმაოდ რთული/ ნინო ვეფხვაძეს.

ქალბატონი ნინო ურთიერთობაში იმდენად თბილი და ყურადღებიანია, რომ სრულიად უცნობ ადამიანებსაც კი კეთილად განაწყობს მისადმი. ამაში ღიმილიც ეხმარება, რაც ქალბატონი ნინოს ერთგვარი სავიზიტო ბარათია.



ბაბუა და ბებია შვილიშვილებთან

***– ცნობილი ოჯახის შვილი და ცნობილი ოჯახის დიასახლისი ბრძანდებით. რა მსგავსება და რა განსხვავებაა მათ შორის?***

– განსხვავებას ვერ ვხედავ, რადგან ჩემი და ავთოს ოჯახი იმ ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ლოგიკური გაგრძელებაა, რაზედაც გავიზარდეთ. ბუნებრივია, დროსთან მიმართებაში რაღაც იცვლება, მაგრამ ის ძირითადი, რაც გენეტიკურად მოგვყვება, თაობიდან თაობას გადაეცემა. მეცნიერთა ოჯახში, სადაც ძირითადი ყურადღება სწავლასა და განათლებაზე იყო გადატანილი სრული ურთიერთგაგება და პატივისცემა სუფევდა. უსიამოვნებები და პრობლემები მშობლებსა და შვილებს შორის არასოდეს ყოფილა. ზედმეტად არავინ მათამამებდა, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვი, რომ რაიმე მაკლდა. არც სადმე წასვლას მიკრძალავდნენ, თუმცა ყოველთვის უნდა სცოდნოდათ – სად და ვისთან ვიყავი. დიდიც და პატარაც ანგარიშგასაწევად ვთვლიდით თავს ერთმანეთის მიმართ. ოჯახში მუდმივად გვყავდა „დიდი კაცი“. თუმცა ამის აფიშირება არასოდეს არ მიყვარდა. პირიქით, ყველანაირად ვცდილობდი, სხვაზე უკეთეს მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყავი. მანქანა გვემსახურებოდა. ჩემდა სასიხარულოდ, სკოლასთან ახლოს ვცხოვრობდით და ფეხით დავდიოდი. მაგრამ უნდა გენახათ, როგორ განვიცდიდი, როცა ბებიასთან და ბაბუასთან წასაყვანად მანქანა მომაკითხავდა. სხვა თუ ფეხით დადის, მე რატომ უნდა ვიარო მანქანით-მეთქი. ახლა მეცინება კიდეც ჩემს ბავშურ გულუბრყვილობაზე.

***– როგორ ფიქრობთ, ადამიანი თავად ქმნის თავის ბედს, თუ ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული?***

– ალბათ ორივე ფაქტორი მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს ჩვენს ცხოვრებას. ღმერთი კი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ჩვენი თავი და შესაძლებლობები.

***– შემთხვევითობაც, ძირეულად თუ არა, საგრძნობლად მაინც ცვლის ჩვენს ცხოვრებას ...***

– შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ცხოვრების ძირითადი ეტაპები თითქმის სულ შემთხვევითობასთან არის დაკავშირებული. თუნდაც ჩემი პროფესიის არჩევა. ოჯახში ყველა ექიმი იყო და ის, რომ მეც ექიმი უნდა გამოვსულიყავი, განსჯის საგანი არც ყოფილა. დიდი სურვილი მქონდა სხივურ თერაპიაში მემუშავა, საკანდიდატო დისერტაციაც ამ სფეროში დავიცავი, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო პროფილი შევიცვალე. მოგეხსენებათ, პრევენციული მედიცინა თეორიული დარგია. დამატებით რისი სწავლა აღარ დამჭირდა. ყველა შუალედური საფეხური თავიდან გავიარე. მაშინ ეს ჩემთვის დიდი დარტყმა იყო. თუმცა დღეს კმაყოფილიც კი ვარ, რომ ასე მოხდა. ჩემი ღრმა რწმენით, ყველაფერი ისევ და ისევ ადამიანის საკეთილდღეოდ ხდება.

***– როგორ წარმოგედგინათ მომავალი მეუღლე და თქვენი იდეალი თუ დაემთხვა თქვენს არჩევანს?***

– მართალი გითხრათ, ვერც მოვასწარი რაიმე იდეალის შექმნა. თვრამეტი წლის არც კი ვიყავი, რომ გავთხოვდი. აღმასკომის ნებართვა დამჭირდა, ხელი რომ მოგვეწერა. სულ რაღაც ოთხი-ხუთი თვის ნაცნობები ვიყავით. თავდაპირველად ჩემი მხრიდან ბავშური გატაცება უფრო იყო, მაგრამ ძალიან მალე ეს გატაცება სიყვარულში გადაიზარდა. ოჯახის საფუძველი სიყვარული უნდა იყოს. უპრობლემო ოჯახი არ არსებობს. სიყვარული კი ყველა გასაჭირსა და სატკივარს შეგიმსუბუქებს და დაგავიწყებს.

***– წლები ხომ არ ანელებს სიყვარულს?***

– პირიქით, ჭეშმარიტ გრძნობას კიდევ უფრო აძლიერებს. თითქმის ოცდაათი წელია მე და ავთო ერთად ვართ, მაგრამ დრომ კიდევ უფრო დაგვაახლოვა. მაშინ ორნი ვიყავით, ახლა კი შვილებით და შვილიშვილებით ვართ გარშემორტყმულნი, რაც ბევრად აძლიერებს ჩვენს კავშირს.

***– როგორია ოჯახში ბატონი ავთო?***

– საკმაოდ რბილი და უკონფლიქტო. ბიჭები პატარაობისას რამეს რომ დააშავებდნენ, მშვიდად უსაყვედურებდა, მამა, ეს როგორ შეიძლებაო. როცა ვეტყოდი, ცოტა მკაცრად მოჰკითხე-მეთქი, მიპასუხებდა, ისედაც ცოტა დროს ვატარებ შვილებთან და მაშინაც ვეჩხუბოო.

სამწუხაროდ, ბოლო დროს კიდევ უფრო ცოტა დრო გვრჩება ერთად ყოფნისათვის.


რეზო და ბუტა მეუღლეებთან – ნინო და ნუკასთან ერთად

***– თქვენი მეუღლის წინსვლაში თუ მიგიძღვით წვლილი?***

– რაიმე დამსახურებაზე ლაპარაკი ნამდვილად უხერხულია, მაგრამ იმას მუდამ ვახერხებ, რომ პრობლემა არ შეექმნას ოჯახის, შვილების მხრიდან. ამის წყალობით ავთოს ყოველთვის აქვს საშუალება, რომ მთელი არსებით ჩაერთოს თავის საქმეში. ღამით ისეთი დაღლილი მოდის, რომ ვცდილობ, ზედმეტი კითხვა არ დავუსვა. თუმცა ზოგჯერ ისეთ აბსურდულ რამეს გავიგებ, რომ ერთი სული მაქვს, როდის მოვა და ვკითხო, მართალია თუ არა.

***– ამბობენ, ადამიანს თანამდებობა ცვლისო ...***

– მე კი ვიტყოდი, რომ თანამდებობა ადამიანის ნამდვილ სახეს წარმოაჩენს. როგორც გითხარით, ჩემს ოჯახში ყოველთვის იყო თანამდებობის პირი, მაგრამ ამპარტავნობის კვალი არასოდეს შემიმჩნევია რომელიმე მათგანის ხასიათებში. მართალია, არიან ისეთებიც, გუშინ რომ არაფერს წარმოადგენდნენ და დღეს სავარძელში მოკალათებულნი თავს დიდ ვინმედ წარმოიდგენენ. მაგრამ ყველას ერთ საცერში გატარება ხომ არ შეიძლება.

***– მით უფრო, დღეს საქართველოში თანამდებობა სასჯელი უფროა, ვიდრე პატივი ...***

– მერწმუნეთ, მართლაც ასეა. წუწუნი არ მჩვევია, მაგრამ გარკვეულ პრივილეგიებთან ერთად თანამდებობას უამრავი სირთულე და უსიამოვნება ახლავს თან.

კათედრაზე ყოველდღიურად ბევრი ადამიანი მოდის ჩემთან რაღაც თხოვნით თუ უბრალოდ გულის გადასაშლელად. ბევრს ჰგონია, სახელმწიფო მინისტრის ცოლს თუ შეხჩივლებენ თავიანთ გასაჭირს, ქმარს თავზე დაადგება და ყველაფერს გააკეთებინებს. მსგავსი რამ არ მომხდარა და არც მოხდება. ჯერ ერთი, მე არ ჩავერევი ჩემი მეუღლის საქმეებში და თუნდაც ძალიან მოვინდომო, ავთო არ მომცემს ამის უფლებას. იმას კი როგორ ვიკადრებ, მისი გვერდის ავლით ვინმეს დავურეკო და რამე ვთხოვო. ერთადერთი, რაც შემიძლია, ყველას გულისყურით ვუსმენ და შეძლებისდაგვარად სწორ გზაზე დავაყენებ.

***– ორი ვაჟის დედა ბრძანდებით. ამბობენ, ბიჭების აღზრდისას სიმკაცრე აუცილებელია.***

– ხასიათებით მამას ვგავარ. იგი ყველაზე ლმობიერი და თბილი იყო ჩვენს ოჯახში. დედა მასთან შედარებით უფრო მკაცრი იყო. ამიტომ ძალიანაც რომ მომენდომებინა, დიდ სიმკაცრეს მაინც ვერ გამოვიჩენდი. საბედნიეროდ, ჩემი შვილების მშვიდმა ბუნებამაც შემიწყო ხელი. თუ მაინც დააშავებდნენ რამეს, ძალიან მიჭირდა მათი დასჯა. რამდენჯერ გამცინებია კიდეც მათ ცელქობაზე.

ქალად ყოფნა ბედნიერებაც არის და ამავე დროს მძიმე ტვირთიც. თუმცა როცა შრომის შედეგს ხედავ შენი შვილების სახით, ის ტვირთიც კი სასიამოვნო სატარებელი ხდება.

პირადად მე შემიძლია ვიამაყო ჩემი შვილებით. უფროსი, რეზო მამაჩემის კვალს გაჰყვა. ჩვენი უნივერსიტეტი დაამთავრა, ამჟამად რეზიდენტურაშია. ბუტა კი წელს ფარმაცევტულს ამთავრებს. მაგრამ ვფიქრობ, რომ პროფესიას შეიცვლის. ბავშვობიდან იტაცებდა სამხედრო დისციპლინები. ახლაც საკმაოდ სერიოზულად ამბობს, გენერალი უნდა გავხდეო. ოჯახში ყველანი მშვიდობიანი პროფესიის წარმომადგენლები ვართ. დიდად არ ვიწონებ მის გადაწყვეტილებას, მაგრამ რას ვიზამ, გაგებით უნდა მოვეკიდო მის არჩევანს.

***– რძალ-დედამთილის პრობლემა ხომ არ წამოჭრილა თქვენს ოჯახში?***

– საბედნიეროდ, არა. დედამთილი ძალიან მძიმე და დატვირთული სიტყვაა, თუმცა დიდად ვერ ვგრძნობ ამ „თანამდებობის" სიმძიმეს. შეიძლება იმიტომაც, რომ ერთად არ ვცხოვრობთ. ჩემი აზრით, თუ საშუალება არის, ახალგაზრდებმა ცალკე უნდა იცხოვრონ. ჩემი მშობლების სახლი ფაქტიურად ცარიელი იყო და იქ გადავიდნენ საცხოვრებლად. არავის აქვს უფლება, ცხვირი ჩაყოს ახალგაზრდების პირად ცხოვრებაში. პასუხისმგებლობასაც უფრო იგრძნობენ და პრობლემებსაც თავად მოაგვარებენ. მაქსიმალურად ვცდილობთ ხელი შევუწყოთ. რისი საშუალებაც არის, ნამდვილად არ ვიშურებთ. ჩემი შვილები თუ კმაყოფილები და ბედნიერები იქნებიან, რა მექნება რძლებთან გასაყოფი ან სასაყვედურო. პირიქით, ანგელოზებივით შვილიშვილები მყავს მათი წყალობით. ხშირად მიფიქრია, სულ ცოტა ხნის წინათ, როცა ეს პატარები


ნინო ვეფხვაძე უმცროს ავთო ჯორბენაძესთან


ორი ავთო

არ იყვნენ, როგორ ვცხოვრობდით მათ გარეშე.

***– დიდი ოჯახის დიასახლისი ბრძანდებით. ვინმე თუ გეხმარებათ საოჯახო საქმეებში?***

– ჯერჯერობით თავად ვუძღვები ყველაფერს. დაკვირვებული ვარ, რაც უფრო მეტი საქმე მაქვს, უფრო კარგად ვასწრებ ყველაფერს. დილის რვის ნახევრიდან ღამის ოთხ საათამდე ფეხზე ვარ. თავს ნამდვილად არ ვისაწყლებ, მაგრამ ადამიანმა თავის თავს უნდა მისცეს დასვენების უფლება. გვიან ღამითაც კი არა მაქვს იმისი საშუალება, რომ ვთქვათ, წყნარად დავჯდე და ტელევიზორს ვუყურო. ხან ვაუთოებ, ხანაც კომპიუტერთან ვმუშაობ.

***– ცოტა რამ თქვენი კათედრის შესახებაც ...***

– პრევენციული მედიცინის კათედრა, რომელსაც უკვე შვიდი წელია ვხელმძღვანელობ, ერთ-ერთი უძველესია, რომელიც ოთხმოც წელზე მეტს ითვლის. ეს არის მეცნიერება დაავადებების თავიდან აცილების გზების შესახებ. მთელი მსოფლიო გადასულია პრევენციაზე იმ თვალსაზრისით, რომ უმჯობესია არ გახდე ავად, ვიდრე დაავადდე და შემდეგ იმკურნალო. მაქსიმალურად ვცდილობ, ყველაფერი კარგი და პროგრესული, რაც კი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშია მიღებული, ჩვენს კათედრაზე დავნერგო. მეცნიერება წინ წავიდა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უბრალოდ უხერხულია იმ სახელმძღვანელოთი ვასწავლოთ სტუდენტებს, ჩვენი დედები და მამები რომ სწავლობდნენ. ამიტომაც გამიჩნდა სურვილი ახალი სახელმძღვანელო შემექმნა, თუმცა უკვე იმდენი ახალი მასალა დამიგროვდა, რომ უკვე ინტენსიურად ვმუშაობ მეორე, განახლებულ გამოცემაზე. თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ ჩვენს კათედრაზე სწავლება უმაღლესი სტანდარტების დონეზეა.

***– სტუდენტებთან როგორი ხართ?***

– ვთვლი, რომ საკმაოდ პრინციპული და სამართლიანი. უზარმაზარ ენერგიას ვხარჯავ სამსახურში. ჩემთვის მორალური ანაზღაურება სტუდენტების კარგი სწავლაა. როცა სტუდენტი კარგად მპასუხობს, ჩემზე ბედნიერი არავინაა. ჩვენთან სწავლება ტესტირებულია და თუ იგი ასი კითხვიდან ოცზე პასუხს ვერ გასცემს, ვფიქრობ, ჩემი მხრიდან უხნეობა იქნება დადებითი ნიშნის დაწერა. კათედრაზე რომ დავიწყე მუშაობა, ნამდვილი შემოსევები მქონდა, რომელიც ავადმყოფობას უფრო ჰგავდა. მართალია, უწყისები ჩემს ხელთ არის, მაგრამ მე თუ ნიშნები პროტექციით ვარიგე, მაშინ ჩემს შრომას რაღა აზრი აქვს. გამოცდების პერიოდში იმდენი რეკავდა ნიშნის სათხოვნელად, ტელეფონს ვეღარ ვეკარებოდი. დღეისათვის იმას მივაღწიე, რომ ათასში ერთხელ თუ დამირეკავენ. საბედნიეროდ, მიხვდნენ, ნიშანს ტყუილად არავის დავუწერ.

***– ამჟამად რაზე მუშაობთ?***

– დღეისათვის ახალ წიგნზე ვმუშაობ. მეტად საინტერესო მასალები მოვიპოვე კიბოს პრევენციის შესახებ. როგორც გითხარით, თავიდან ონკოლოგიაში ვმუშაობდი. ყველაფერი, რასაც ამ კუთხით ვაკეთებ, მამაჩემის სახელს ვუკავშირებ და მის ნათელ ხსოვნას ვუძღვნი. ასე მგონია, რომ იმ ქვეყნად ყველაფერს იგებს და უხარია, რაც უდიდეს სტიმულს მაძლევს, ძალასა და ენერგიას მმატებს. სხვაგვარად ამდენ საქმეს ალბათ ვერ გავწვდებოდი.

გარდა ამისა, სახელმწიფო პროგრამა „რადიაციის" კოორდინატორიც ვარ. მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყნისთვის მეტად აქტუალურია რადიოეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა, რადგან ყოველ ნაბიჯზე რადიაციის წყაროს პოულობენ.

როგორც ხედავთ, მოსაცლელად არ მცალია, – ეღიმება ქალბატონ ნინოს. – თანაც ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, რასაც არ უნდა ვაკეთებდე, შიგ მთელი სული და გული უნდა ჩავაქსოვო. სხვაგვარად საქმეს ხელს არც მოვკიდებ ...

**... ბოლოს ერთს დავამატებდი მხოლოდ. როგორც ქალბატონი ნინოს ახლობლები ამბობენ, შეუძლებელია მის სიტყვებში ეჭვის შეტანა, რადგან თავად არის შეურიგებელი ყოველგვარი სიყალბისა და მოჩვენებითობის მიმართ.**

მარინე ნაკაიძე

# ვულოცავთ!



**დიდ ქალბატონს, საქართველოს ქალთა მოამაგეს, ჟურნალის ყოფილ სამაგალითო რედაქტორს (26 წელი რომ პირუთვნელად გვემსახურა), პოპულარულ პოეტს, დრამატურგს და კიდევ უფრო პოპულარულ საზოგადო მოღვაწეს მარიკა ბარათაშვილს წელს, 7 აპრილს 95 წელი შეუსრულდა.**

**რას ვუსურვებთ?**

**ჯანმრთელობას – ისევ სამშობლოს და საკუთარი შვილიშვილების საკეთილდღეოდ, თავისი უდროოდ წასული შვილების, ბრწყინვალე პიროვნებების – ნანულის და მერაბის მოსაგონებლად, და ჩვენთვისაც, ვინც მის ფრთებქვეშ გავიზარდეთ, ვისთვისაც სამართლიანი ხელმძღვანელიც იყო და მოალერსე მეორე დედაც, რომლებსაც დღესაც გვეხმარება მისი გამამხნევებელი შემოძახება, იმედიანი სიტყვა, რჩევა, დარიგება...**

**საქართველოს დღესაც სჭირდება, რომ ქალბატონი მარიკა დღეგრძელი იყოს, კვლავ მისი მომავლისათვის შესტკიოდეს გული.**

**...მკითხველები გაიხარებენ იმ მელანშეუშრობელი ახალი ლექსების კითხვით, ქალბატონმა მარიკამ რომ რედაქციაში გამოგვიგზავნა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა ბარათაშვილი

## ნაგვიანევი...

რაც გაგიტოლდი, უკვე აღარ
მეუცხოება
შენი დარდები (არც გვჭირდება
უკვე მსტოვარი),
მოგვცა როლები რეჟისორმა —
თავად ცხოვრებამ.
მსგავსი რეპლიკით, მიზანსცენით
და სათხოვარით.
დედას რა უნდა? ო, მცირედი,
ძალზე მცირედი —
ორი სტრიქონი (მეტს დედები
არც კი ნატრობენ).
ეს რომ იცოდნენ... არ იციან,
არა, შვილებმა,
რარიგ ძნელია, როცა დარდი
დაგიმარტოებს.
მიმწუხრზე მარტო რომ შემორჩი
შენი ტკივილით,
ამ სათიქრალით გოლგოთაზე
ბევრჯერ ავედი...
ვერ ჩამოგართვი მცირე ბოხჩაც
იმ სიმძიმილის...
და ახლა დამაქვს სინანული
ნაგვიანევი...

## გავა დრო...

სახლში ბნელოდა, შევაღე კარი
და უმალვე შემომეგებნენ,
გულში მიკრავდნენ დედა, მამა, ძმა და
მთელი სანათესაო..
პირჯვარს მსახავდა, მილოცავდა
ბებიაჩემი:
გულო, ჩადექ საგულესაო.
ავანთე შუქი. მარტოობამ
შემზარა უმალ...
მხოლოდ ნივთები მიყურებენ
იქით-აქედან. —
დედის კამოდი, ძმის წიგნები,
სკივრები დუმან.
ჩასძინებია მამაჩემის
საწერ მაგიდას.
გავა დრო, ვინმე შემოაღებს
ჩარაზულ კარებს...
რით მომიგონებს, რას ვუტოვებ,
რას ჩაიბარებს?!

## ნუ გაიკვირვებ!..

როცა აყვავდა ბაღში ნუშები
და იცინიან ლაღად ტყემლებიც.
ნუ გაიკვირვებ თუ ვიღუშები,
ნუ გაიკვირვებ თუ ვიცრემლები.

იყო... საოცარ დღეთა ასხმულით,
ასეთი ღელვით რომ მოველოდი,
შემოვიდოდა შინ გახაფხული
და სიყვარულით ვითანგებოდი.

ახლაც გამოჩნდა, კვლავ თაიგულით
მოდის, მოიბრძვის, კარს ურახუნებს,
მე კი ქარებით გამოფიტული
შემოვრჩენილვარ „იმ“ გაზაფხულებს.

**2003 წელი**

ნაზი თარგამაძე

# „ვარდფენობა“

ჟურნალ „მნათობში“ მუშაობის ოცდახუთი წლის მანძილზე წილად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი იმ გამოჩენილი მწერლების გვერდით, რომლებიც იყვნენ (დღეს ზეციურ საქართველოში მყოფნი) ბატონები: გრიგოლ აბაშიძე, ნიკა აგიაშვილი, შალვა ალხაზიშვილი, ელგუჯა მაღრაძე, გიორგი ნატროშვილი, ოტია პაჭკორია, ნოდარ რუხაძე, არჩილ სულაკაური, ედიშერ ყიფიანი, გიორგი შატბერაშვილი და შემდეგ (ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე ნუ მოაკლოს მათ უფალმა), ბატონები: რეზო ამაშუკელი, გურამ დოჩანაშვილი, ნოდარ წულეისკირი, ოთარ ჭილაძე, ბესიკ ხარანაული.

საოცარია, თითქოს საგანგებოდ არჩევდა უფალი ჟურნალ „მნათობის“ თანამშრომლებად გამოჩენილ მწერლებს, რომლებიც პიროვნულადაც ღირსეული და კეთილშობილი ადამიანები იყვნენ. ბევრი კარგი მოგონება მაქვს ყველა მათგანზე, მაგრამ ამჯერად, რადგან გაზაფხულზე ბატონ გიორგი შატბერაშვილის საიუბილეო თარიღი ახლოვდება...

ბატონი გიორგი 1910 წლის თოთხმეტ აპრილს არის დაბადებული. 1965 წლის 19 აპრილს გარდაიცვალა „ვარდფენობის“ დროს.

„ვარდფენობა“ მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი დღეა. გაზაფხულობით იხდიან. საფლავზე მხოლოდ ყვავილები მიაქვთ. ასე განმარტავს მწერალი გიორგი შატბერაშვილი „ვარდფენობას“ თავის „თვალადური ქართულის ჭაშნიკში“ და იქვე აღნიშნავს, რომ თვალადურ მეტყველებაში „ვარდი“ ყვავილის სინონიმად იხმარება, ზოგადი სახელია და ყველა ყვავილს ვარდს ეძახიან. მინდვრად დაკრეფილ ყვავილებზე იტყვიან „ვარდი დავკრიფეო“. ალბათ, ამიტომაც ჰქვია მიცვალებულთა დღეს „ვარდფენობა“ და არა „ყვავილფენობა.“

ვინც ბატონ გიორგის იცნობდა, მისთვის იგი მხოლოდ „ვარდფენობის“ დღეს მოსახსენებელი კი არა, მარადსახსენებელი და დაუვიწყარია თავის დარბაისლობით, კაცთმოყვარეობით, დახვეწილი ქართული მეტყველებით, უტყუარი და წონიანი სიტყვით.

უტყუარმა და წონიანმა სიტყვამ გამახსენა: 1965 წლის ცხრა მაისი ახლოვდებოდა, დიდ სამამულო ომში გამარჯვების ოცი წლისთავი. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ამ თარიღის აღსანიშნავად ატარებდა ღონისძიებას დევიზით: „საბრძოლო დიდების გზით“, რაც ითვალისწინებდა მოსწავლე ახალგაზრდობის ექსკურსიას გმირ ქალაქებში: მოსკოვი, ლენინგრადი, ვოლგოგრადი. ბავშვებს ხელმძღვანელებად მიჰყვებოდნენ პედაგოგები, კომკავშირული მუშაკები და ჟურნალისტები – „ახალგაზრდა კომუნისტიდან“ ეთერ სახვაძე, „ნორჩი ლენინელიდან“ რუსუდან გამსახურდია და ამ სტრიქონების ავტორი. შემექმნა პრობლემა. ჩემი რედაქტორი, ბატონი გრიგოლ აბაშიძე იმხანად მოსკოვში იმყოფებოდა. დარეკა – ორისამი დღე ჩამოსვლა დამაგვიანდებაო. რა მექნა, ჩემ წასვლაზე უარის თქმა უკვე გვიანი იყო, არადა, უნებართვოდ როგორ წავსულიყავი. რჩევისათვის ბატონ გიორგის მივმართე, როგორც ბატონ გრიგოლის უახლოეს მეგობარს და ძმასავით ახლობელს. მოვუყევი ყველაფერი და სინანულით ისიც დავძინე, ჩემი მეგობრის და ჩემი შვილიც იმ ბავშვებთან ერთად მიემგზავრებიან და უჩემოდ აღარ წავლენ, რა ვქნა, დილემის წინაშე ვარ-მეთქი.

ბატონმა გიორგიმ გულისხმიერად მომისმინა და მერე სერიოზული სახით მითხრა: – რას იზამ, წახვალ ინანებ, არ წახვალ და... მაინც ინანებ, მაგრამ ალბათ მაინც უნდა წახვიდე, ამისთანა შემთხვევა კიდევ ხომ არ გექნება, სამ ქალაქს შენი ხელფასით ვერასოდეს მოინახულებო. მერე ოდნავი ღიმილით მითხრა, სამსახურიც რომ დაკარგო, წასვლა მაინც ჯობსო. გადავწყვიტე აღარ წავსულიყავი, მაგრამ ჩემი უპასუხისმგებლობა და ბავშვების ორი ადგილის გაუქმებაც მადარდებდა. ძალიან შეუხება რომ შემატყო, ბატონმა გიორგიმ ისევ თავისი ჩვეული სიდინჯით მითხრა, ნუღარ ყოყმანობ, წადი, წადი და პასუხისმგებელი მე ვიქნებიო. მაინც ვყოყმანობდი, რომ გაგაუხერხულოთ არ მინდა-მეთქი. გადაწყვიტე და მენდეო, მითხრა. ბოლოს რა თქმა უნდა, ვენდე მის უტყუარ სიტყვას, მაგრამ ზრდილობისათვის პატარა ბარათი დავწერე და ვთხოვე, ბატონ გრიგოლს ეს მაინც გადაეცით-მეთქი. ბარათის შინაარსი ასეთი იყო:

## არდავიწყება



„ბატონო გრიგოლ, კადნიერებად ნუ ჩამითვლით უნებართვოდ წასვლას. უკან დახევა აღარ შემეძლო. დარწმუნებული ვარ, თქვენ უარს მაინც არ მეტყოდით. მაპატიეთ. მოკრძალებით და პატივისცემით ნაზი თარგამაძე.“

ეს კიდევ უკეთესიო, ბრძანა ბატონმა გიორგიმ, ბარათი შეინახა და გზა მშვიდობისა მისურვა.

ორკვირიანი მოგზაურობიდან 11 აპრილს დავბრუნდით. ჩამოსვლისთანავე მახარა მეგობარმა, თქვენთან ლიტერატურული რედაქტორის შტატი გათავისუფლდა და იმ ადგილზე შენ გადაგიყვანესო. იმას ვდარდობდი, ალბათ საყვედურს დავიმსახურებ-მეთქი და ამ მოულოდნელობით ისე გაოცებული დავრჩი, სიხარული ვერ გამოვხატე.

12 აპრილს ჩვენი თანამშრომლის, ნოდარ რუხაძის რვა თვის გოგონას კრძალავდნენ. ბავშვის ხილვით შეწუხებულ და ფერდაკარგულ ბატონ გიორგის ქალბატონ თამარ ანდღულაძისთვის უთქვამს, გული დამიმძიმდაო. სახლშიც წუხდა თურმე, ნეტავ არ მენახა ის პატარაო. ცხრამეტ აპრილს მისმა უეცარმა გარდაცვალებამ „მნათობელებს“ თავზარი დაგვცა.

* * *

საოცრად მახვილი თვალი ჰქონდა ბატონ გიორგის. საკმარისი იყო, უკვე დასაბეჭდად ხელმოწერილი გვერდებისათვის თვალი ზერელედ გადაევლო, რამდენიმე კორექტურას მაინც აღმოაჩენდა და გაიხუმრებდა, თითო შეცდომაზე ოცი კაპიკიო.

* * *

ბატონი გიორგი გოგებაშვილის ქუჩაზე, მწერალთა სახლში ცხოვრობდა, იმავე სახლის მეორე სადარბაზოში – ჩვენი თანამშრომელი (აწ განსვენებული) ლალი კობახიძე. მაშინ „მნათობის“ რედაქცია გმირთა მოედანზე მდებარე თერთმეტსართულიანი შენობის მეორე სართულზე იყო განთავსებული. ბატონი გიორგის სახლამდე დიდი აღმართი იყო ასასვლელი და ხშირად ტაქსით მიდიოდა შინ. ლალის მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა და მუდამ მიეჩქარებოდა. ბატონი გიორგი შემოიხედავდა ოთახში წასვლის წინ და ლალის ჰკითხავდა – „გავიპაროთ?“ – გავიპაროთ, გავიპაროთო მაშინვე უპასუხებდა ლალი და ასე „იპარებოდნენ“ ხშირად.

ერთხელ ოთახში შემოსულ ბატონ გიორგის ლალიმ მის შეკითხვას დაასწრო და მოუბოდიშა, კორექტურა სახლში მიმაქვს, ჩანთაში შევინახავ და ახლავე წამოვალო. ყველასთვის მოულოდნელად კრიტიკის განყოფილების გამგემ დიდებულმა და ძალიან საყვარელმა ქალბატონმა თამარმა მოსწრებულად იხუმრა: გიორგი, ერთხელ მე და შენ რომ გავიპაროთ რა იქნებაო. არც არაფერიო – უთხრა ბატონმა გიორგიმ. ყველამ გულიანად ვიცინეთ... ბატონი გიორგის მაშინდელი სახე ახლაც თვალწინ მიდგას, ნათელი და კეთილღიმილიანი.

# ჯანმრთელი ბავშვი ჩვენს სახლში



**ვიცით, ჰომ ვახთ ფეხმძიმე. გავაცნობიერეთ, ჰომ ეს სასუჩეველი ოისუ-ლობაა. და მაინც გონებაში მაშინვე უამრავი კითხვა ჩნდება... ჩვენც ვაგიძე-ლებთ საუბახს „ჯანმრთელობის სახლის“ ორსულთა სკოლის ნამყვან ექიმთან, ქალბატონ ლალი აბელიშვილთან:**

– მართლაც, საფიქრალია, როგორი იქნება მომავალი შვილი, რომელი სქესის, რა ხასიათის, როგორი ჯანმრთელობის... და, ასე შემდეგ, უსასრულოდ. მანამ ვერც კი წარმოვიდგენთ ამ პაწაწინა არსებას, სანამ, თუნდაც ექოსკოპიის მონიტორზე არ დავინახავთ. საოცარი გრძნობაა, როდესაც ეკრანზე ხედავ, თუ როგორ ამოძრავებს იგი პატარა ხელ-ფეხს. თავისთავად გიჩნდება სურვილი გაიგო, ბიჭია თუ გოგო. ზოგიერთისთვის ამას მნიშვნელობა აქვს, ზოგისთვის – არა, მაგრამ საერთო ჯამში, რაც უფრო ადრე იცის დედამ ვინ ჰყავს, მით უფრო, კარგია. ამას მნიშვნელობა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც აქვს.

***– რამდენად მნიშვნელოვანია დედის ბავშვთან ურთიერთობისათვის სქესის დადგენა ორსულობის პერიოდში?***

– ჩვენ ნაყოფის ფსიქოლოგიურ მატრიცებზე უკვე ვისაუბრეთ, ვიცით, რა მნიშვნელოვანი ინფორმაცია იწერება 1 მატრიცაზე მთელი 9 თვის განმავლობაში. წარმოიდგინეთ თავი ნაყოფის ადგილას. როდესაც ჩვენ ბავშვის სქესი ვიცით, მას აღვიქვამთ როგორც კონკრეტულ პიროვნებას – ქალს ან მამაკაცს. წარმოუდგენელია დედა ეფერებოდეს ნაყოფს და წარმოსახული არ ჰყავდეს ვინმე. ხოლო როდესაც ეს წარმოსახვითი ვინმე არ ემთხვევა რეალურს, ანუ ნაყოფის სქესს, ნაყოფში უარყოფითი ემოციები ჭარბობს, ვინაიდან ხდება სქესის იგნორირება და პიროვნების არასრულფასოვანი აღქმა. ეს ნაყოფს შეურაცხყოფს. ღირსების შელახვა კი მას შემდგომ ცხოვრებაში ბევრ ბარიერს შეუქმნის.

ზოგადად, ცივილიზებულ სამყაროში ნაყოფის სქესს მშობლებისათვის არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც ეს ხშირად ამბიციურობაზე მიგვანიშნებს: მე მხოლოდ ბიჭი მინდა! ან ბიჭი რად მინდა, გოგო მირჩევნია! ეს დიდი დანაშაულია. რასაც გვაჩუქებს ბუნება, ის უნდა შევიფეროთ და მადლობა მივუძღვნათ უფალს. ცოტა გვინახავს უშვილო წყვილი ან მძიმე დაავადებით შეპყრობილი ბავშვის მშობლები? განა მთავარი სქესია? – არა, მთავარი ჯანმრთელი ბავშვია!

***– ჩვენ ვახსენეთ ექოსკოპია, კიდევ რა მეთოდს ფლობს მედიცინა სქესის დასადგენად და რამდენად მნიშვნელოვანია იგი ჯანმრთელი ბავშვის გაჩენისათვის.***

– რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისები. არის სიტუაციები, როდესაც სქესი განსაზღვრავს ბავშვის ჯანმრთელობას და ამ დროს მნიშვნელობა აქვს დადგინდეს, ნაყოფი ბიჭია თუ გოგო. ლაპარაკია სქესთან დაკავშირებულ დაავადებებზე. მათ შორის, ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული დაავადებაა ჰემოფილია (ამ დროს სისხლი შედედების უნარს კარგავს და პატარა კაპილარული სისხლდენა პაციენტის დაღუპვას იწვევს).

როდესაც ასეთი საშიშროება დადგინდება, მეცნიერები პოულობენ გამოსავალს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დაიგეგმოს სქესი, რაც თავიდან აცილებს ოჯახს ბევრ უბედურებას, ჩვილს კი იმ დაავადებას, რომელიც მას სასიკვდილოდ გაწირავს.

უამრავი ცხრილი, სასაცილო გამოთვლა და მოარული ინფორმაციაა გავრცელებული საზოგადოებაში, რომლებიც თითქმის არასდროს მართლდება. პირიქით, ოჯახის უსიამოვნებების მიზეზი ხდება. მაგალითად, მრავალშვილიან ოჯახში უსასრულოდ იბადებიან გოგონები და ვაჟის მოლოდინში არაერთი კრიმინალური აბორტი კეთდება. ეს დაუშვებელია, არსებობს საქართველოში სქესის დაგეგმვის ერთ-ერთი კონკრეტული, სამეცნიერო და სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებული მეთოდი.

იგი აპრობირებულია „ჯანმრთელობის სახლში“, ექიმი-გინეკოლოგის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, საქართველოს მთავარი ექოსკოპისტის ბ-ნ ამირან გურგენიძის მიერ. მეთოდი გულისხმობს სწორ ნაწლავში ტემპერატურის გაზომვის საშუალებით ორი მენსტრუალური ციკლის განმავლობაში ოვულაციის დღის დადგენას და შემდეგ გარკვეული სქემით მოქმედებას, რომლის არსიც აიხსნება პირადი შეხვედრისას. იგი საკმაოდ შედეგიანია. სასურველი ბავშვიც ჯანმრთელი იბადება და ოჯახიც გახარებული რჩება.

***– როგორც შევიტყვეთ, ორსულთა სკოლის გაკვეთილები ითვალისწინებს ჯანმრთელი ბავშვის დაბადების უზრუნველსაყოფად მომავალი დედისთვის ვარჯიშების ციკლს, ორიოდე სიტყვით ამის შესახებ?***

– 14-16 კვირიდან ფიზიკური ვარჯიში აუცილებელი ატრიბუტია, თუკი ორსული ჯანმრთელია და სპონტანური აბორტის საშიშროება არ არსებობს. ამ ეტაპზე ვარჯიშები განსაკუთრებული და იოლია. საქმე ეხება არა მარტო იმ კუნთების მომზადებას, რომლებიც უშუალოდ მშობიარობაში იღებს მონაწილეობას, არამედ მთლიანად სხეულის, ყველა კუნთის გავარჯიშებას. ნაყოფის ზრდასთან ერთად იცვლება ფიზიკური დატვირთვაც. როგორც წესი, ფეხმძიმესთან ტარდება ინდივიდუალური კონსულტაციები, დგინდება რა ვარჯიშები დაენიშნოს და რა დოზით. ორსულს უზომავენ წნევას, პულსს, უსმენენ გულს და ა.შ. თუ რაიმე უკუჩვენება აქვს ფეხმძიმეს, ვარჯიში არ ტარდება. თუ იგი ჯანმრთელია, ვარჯიში 9 თვის ჩათვლით სრულდება.

**ესაუბრა თამარ ნინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სილამაზის მხევალი

თიანეთის ცენტრში ერთი პატარა მოედანია. ამ მოედანზე სამი სხვადასხვა უბნიდან სამი ქუჩა შემოდის. აქვე ადრე ავტობუსების სადგური იყო და მე, სტუდენტობისას, თბილისში მომავალი ავტობუსის მოლოდინში, ერთი ისეთი სურათის მოწმე გავხდი, რომელიც ყოველთვის თვალწინ დამიდგება ხოლმე, როცა კი ჩემი ქართულის მასწავლებელს – რუსუდან გელოვანს გავიხსენებ.



მზიანი დილაა. სამივე ქუჩიდან, თითო-თითოდ თუ ჯგუფ-ჯგუფად, მოედანზე მოსწავლეები მოედინებიან, რათა შემდეგ ერთ ნაკადად შეერთებულნი, სკოლისაკენ დაქანებულ სწორ გზას დაადგნენ. მოედანი გზაჯვარედინიცაა, სამსახურში და საქმეზე მიმავალთა უმეტესობამაც აქ უნდა გაიაროს, ამიტომ თიანეთის ეს ადგილი მუდამ ხალხმრავალი და საქმიანია.

მე სწორედ იმ ადგილზე ვდგავარ, სადაც გზა დაბლდება და ქვევით, სკოლისაკენ ეშვება, ასე რომ, მოედანი ჩემთვის ოდნავ შემაღლებულ სცენას წააგავს.

და აი, თითქოს სცენაზე მთავარი გმირი შემოვიდაო, მოედანზე გამოჩნდა რუსუდან მასწავლებელი – ჩაცმულობითაც და გარეგნობითაც ირგვლივ ყველასაგან გამორჩეული. გამოჩნდა და უმალვე ბავშვების ნაკადში მოექცა.

ბავშვები კი ბლომად არიან. მოედნის ყელიდან არც თუ ფართო ქუჩაზე გამოსულნი, ღარში მოქცეულ წყალივით მჭიდროვდებიან, რუსუდან მასწავლებელს ეკვრიან და შუაში იქცევენ... და მე ისე მეჩვენება, თითქოს რუსუდან მასწავლებელი კი არ მოდის – ბავშვების ნაკადს მოჰყავს ზეაღმართული – თეთრი იალქნივით.

ანგელოზების გუნდში ჩამდგარი ღმერთივით მოდიოდა იგი, გულზე ქალწულებრივად წიგნებმიხუტებული. ის იყო მაღალი და ლამაზი. ოქროსფერი თმები მზეზე უბრწყინავდა. სიყვარულით პასუხობდა ბავშვების უამრავ მისალმებას ისე, რომ არც ერთი მაძებარი თვალი არ გამორჩენოდა და მიაბიჯებდა მათთან ერთად, მათი ხმით, მზით, უმშვენიერესი დილით გულგახარებული.

მიდიოდა ამაყი და თავმდაბალი, უბრალო და ამაღლებული. იგი მთელი სიცოცხლე ამაღლებულის ტყვეობაში იყო, თაყვანს სცემდა სილამაზეს და რაკი ამ დილაშიც ის უზენაესი სილამაზე ვლინდებოდა, თავს ნებას აძლევდა ბედნიერი ყოფილიყო.

ყოველი სილამაზე ისარს ახვედრებდა მის გულს – წყარო, ტყე, მინდორი, მხატვრული სახე, მეტაფორა, მზე, ზეცა, ლიტერატურული გმირი, დაწნული ღობე, ფრინველი ყვავილი... ზოგიერთი ამათგანი ხშირად ერთადაც მოიყრიდა თავს, რათა სილამაზის ამ მხევლისათვის სამაგიერო მიეზღოთ და ზეიმი გაემართათ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ზეიმის შემდეგ თქვა მან: „სიკვდილი არ მინდა. იმიტომ კი არა, რომ მეშინია, არა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სილამაზე ისევ იქნება და მე ვეღარ შევძლებ დანახვას!“

და აი მაშინ, მოედანზე მდგარმა, უცებ აღმოვაჩინე, რომ მრავალი წლის განმავლობაში, მზეში და ქარში, თოვლში და წვიმაში (პროვინციის წვიმაში – პოეტური ქოლგით), მხიარულიც და სევდიანიც, ავადმყოფიც და გულნატკენიც – რუსუდან მასწავლებელი ერთი და იმევე ქუჩით ამ მოედანზე გამოვიდოდა, აქ მოსწავლეების ნაკადს შეუერთდებოდა და სკოლისაკენ მიმავალ გზას დაუყვებოდა. ასე იყო სიკვდილამდე... და ასე იქნებოდა სიკვდილის შემდეგაც...

დღეს ის სკოლა მისი ძმის – მირზა გელოვანის სახელს ატარებს. და იციაფებდა კი ეს სახელი, რუსუდან მასწავლებელი რომ არა, რომ არა მისი მონდომება და ბრძოლაც კი – თავისი ძმის ლექსების გამოცემისათვის? დღეს ჩვენ მხოლოდ ნაყოფს ვიმკით, მხოლოდ პოეტის აღიარების მოწმენი ვართ, რუსუდან მასწავლებელს კი არ დასცალდა, რომ ბოლომდე დამტკბარიყო ძმის გამარჯვებით. მაგრამ მან ბევრ პირად უბედურებასაც გაასწრო: ეს იყო ერთადერთი წყალობა, რაც ბედმა მისთვის გამოიმეტა.

რუსუდანისა და მირზას დაძმური, ნატიფი მეგობრობა მე მუდამ მაგონებდა მაიკო ორბელიანის და ნიკოლოზ ბარათაშვილის ამაღლებულ, სულით ხორცამდე ნათესაურ სიყვარულს.

„რატომ არ მომდიან შენი წერილები?..

მომწერე, ნუთუ არ ეყოთ ჩემს ლექსებს სიმართლე, რომ

# მონატრება



კვლავ მივუყვები სიჩუმეში იდუმალ ბილიკს.
ხელის გულებზე ისევ ბედის ვცდილობ ამოხსნას,
გულს ვერ უბრძანებ დამორჩილდეს ნასხვისარ ღიმილს
და ველოდები უფლისაგან ისევ გამოცდას.
მოწყენილობა სამუდამოდ ჩემს გვერდით ივლის
როგორც ერთგული მოდარაჯე ძაღლი და მცველი
და ეს ცხოვრება ვაგონივით ისე ჩაივლის,
რომ მერე ალბათ უცაბედად მოვკვდები ცელით!
შენ კი სადა ხარ?! – სასწაულის არ მსურს ვიწამო,
რადგან ქამია მუხანათი და დაუნდობი,
უკანასკნელად მინდა გნახო, დაგემშვიდობო,
სანამ ამ ფურცელს მოედება სიძველის ობი!
შენ კი სადა ხარ?! – წლების მიღმა დარჩა ლოდინი,
ვერ მოგაწვდინე ხმა, რადგანაც უხმოდ გეძახი,
მხოლოდღა შავი აჩრდილივით ტკივილი მლოცნის,
ცარიელია სული, როგორც თეთრი ქაღალდი!
კვლავ მივუყვები სიჩუმეში იდუმალ ბილიკს,
მალე ჩამოთოვს – დარჩენილ წლებს ფარავს მანტია,
და აუხდენელ ოცნებებსაც გული კვლავ მოითხოვს,
გული კვლავ მოითხოვს კვლავ ოცნებით შევხვდე განთიადს!

ნაზიბროლა მიქელაძე

არც ერთი მათგანი არ დაბეჭდილა აქნობამდის? ან იქნებ ჩემს თბილისელ ამხანაგებს არ ეყოთ სიმართლე?

დღეს წვიმიანი დღეა. ჩვეულებრივი ბელორუსული წვიმიანი დღე. სცრის განუწყვეტლივ და მე მგონია, ეს ხდება განგებ, ადამიანთა გასაბრაზებლად. ასე ხდება ზოგჯერ ადამიანის სულშიც. დაიწყება გადაუღებელი წვიმა, სცრის და სცრის.

ჩემს სულში არ არის წვიმა. მხოლოდ ტკენაა ჩემს გულში, რომ საქართველოში დაივიწყეს ჩემი სახელი მათ, ვინც მეგონა, არასოდეს დამივიწყებდნენ" (19.VI.44წ.).

მე მირზა გელოვანს არ მოვსწრებივარ, მაგრამ როგორც თიანელმა კაცმა, ვიცი: რუსუდანი და მირზა ძალზე ჰგავდნენ ერთმანეთს – გარეგნულადაც და პოეტური სულითაც. იმათ მარმარილოს პროფილებს ერთნაირი მადლი ეცხო. არასოდეს არ მახსოვს, რომ რუსუდან მასწავლებელს ჩვენთან, მის მოსწავლეებთან, ძმაზე, მის პოეზიაზე ელაპარაკოს, – არც მაშინ, როდესაც მირზა დავიწყებული იყო, არც მერე, როდესაც მისი წიგნები დაისტამბა და აღიარებაც ერთბაშად პოვა. მიკვირს, როგორ ითმენდა, როგორ ითმენდა თიანეთის გრძელ, ერთფეროვან ღამეებს. ან იქნებ ძნელი წარმოსადგენია სულის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მისთვის ძირითად უნარად მოთმინება და ლოდინის უნარი ქცეულა და ყოველგვარ უკუნეთს მზესავით ანათებს.

მზით განათებულ მოედანზე ბავშვებში ჩამდგარი რუსუდან მასწავლებელი, მთელი მსვლელობა დილის ქუჩის, ოდნავი ნიავი, რომელსაც მხოლოდ ის შეუძლია, რომ აკაციებზე და ცაცხვებზე სურნელი აშალოს, შეაზავოს, გასაძლები გახადოს და ქუჩას მოჰფინოს – ყველაფერი ეს ერთად ისე ჰგავდა არარეალურს!

...და მე გამახსენდა, რომ ასეთსავე ნაკადს ცოტა ქვემოთ და ცოტა უფრო ადრე მეც ვუერთდებოდი ხოლმე.

ის ტკბილად გამიღიმებდა, შეუმჩნევლად, რომ არ შესტყობოდა, თითქოს სხვებისაგან არც მარჩევდა... მაგრამ სინამდვილეში ასე როდი იყო...

მას უსაზღვროდ უყვარდა პოეზიაზე ლაპარაკი. ჩვენი პროგრამა კი იმგვარად იყო შედგენილი, თითქოს უცხო პლანეტიდან ბარბაროსები მოფრენილან და ყველაფერი განგებ ისე აურევ-დაურევიათ, რომ ბავშვებს მხატვრული ლიტერატურა საბოლოოდ შესძულებოდა. მასწავლებლის სიკეთე და დამსახურება მით უფრო დიდი იყო, რაც შორს წავიდოდა პროგრამიდან. ჩვენ გავიარეთ ჩვენი კლასიკოსები, მაგრამ იმისათვის, რომ ზოგიერთი მათგანის გემო გაგვეგო, საჭირო აღმოჩნდა დრო და ჩვენი პირადი ღირსებები. სასკოლო პროგრამა და თეორიულ-კრიტიკული დანართები სახეს უკარგავდა ჩვენს მწერლებს, აერთფეროვნებდა, ბეტონის არხებში აქცევდა მათ (და არა წნორებით დაჩრდილულ, წესრიგის მოყვარე წი[illegible] ღარში) ჩვენთვის სიბნელით იყო მოცული ნაწარმოებების მხატვრულ-ესთეტიკური მხარე, სილამაზე, სიმშვენიერე და ამის გამო უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასწავლებლის პიროვნებას.

მას უყვარდა პოეზიაზე ლაპარაკი და ახლა, როცა მახსენდება, თუ როგორ ხშირად ვუტეხდით ხოლმე გულს ჩვენი უწვრთნელობით და პოეზიის არცოდნით, გული მწყდება. თიანეთში კი იყო ერთი-ორი ადამიანი, რომლებთანაც შეიძლებოდა პოეზიაზე საუბარი, მაგრამ ეს არ იყო აუდიტორია, ეს არ ვიყავით ჩვენ. მე წარმომიდგენია, თუ როგორ ასწევდა იგი წაკითხული წიგნიდან თავს, რომელმაც ასე გააბედნიერა და აღაგზნო და როგორ მოუნდებოდა სხვებისთვის თავისი სიხარულის გაზიარება... მას შეეძლო თანამზრახველების პოვნა, მას შეეძლო ჩვენთან საუბარი და მე ბევრჯერ შევსწრებივარ ჩვენს გაყინულ კლასში, თუ როგორ მსუბუქად ზეაუწევიათ და წაუღიათ პოეზიის ფრთებს იგი ნანატრი გაზაფხულის ცაში...

მოზრდილები ჩვეულებრივ ასე ვმსჯელობთ: – მე ამა და ამ საგანში კარგი მასწავლებელი მყავდა, – მე ამა და ამ საგანში – ცუდი. ასეთ საუბრებში კარგი მასწავლებლები ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ცუდნი. მოზრდილები ხშირად უფრო იმ მასწავლებლებს იხსენებენ ხოლმე, რომლებთანაც ანეკდოტური შემთხვევები აკავშირებთ.

რა უნდა ვთქვა მე რუსუდან გელოვანზე, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელზე?

რუსუდან გელოვანისთვის იმ ფაქტს თითქოს არც კი აქვს მნიშვნელობა, რომ ყველა მისი მოსწავლე სკოლას ენისა და ლიტერატურის კარგი ცოდნით ამთავრებდა, კარგ ნიშანს იღებდა უმაღლესში მისაღებ გამოცდაზე, თითქოს უმნიშვნელოა, რომ კმაყოფილნი გვეკითხებოდნენ – ქართულს ვინ გასწავლიდათო. დიახ, უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რაც რუსუდან გელოვანის ნამოწაფრებმა მისგან ვისწავლეთ. რა ვისწავლეთ? რა თქმა უნდა, უფრო მეტი, მაგრამ რაკი მიჭირს ამის გამოხატვა, ჩვეულებრივ სიტყვებს მოვიშველიებ: ვისწავლეთ სილამაზე და ამაღლებული, ვისწავლეთ სიყვარული... შეუძლია კი ასეთი რამ ყველას? განა იცოდა რუსუდან მასწავლებელმა, რა იყო ანგარება? – ჩვენ ყველანი მისი შვილები ვიყავით: ზოგნი გამხდრები და სუსტები – და ამის გამო ვუყვარდით, ზოგს ლოყები ასკდებოდა და ისიც საყვარელი იყო... ზოგი ეშმაკი იყო, ზოგი ზანტი, ზოგი ობოლი, ზოგი ღარიბი, ზოგი შორი სოფლიდან დადიოდა ფეხით... ჩვენ ყველანი მისი შვილები ვიყავით და რომ გავეერთიანებინეთ – ვუყვარდით!

# ასაკი

*ჩანახატი*

ღამის ათი-თერთმეტი საათი იქნებოდა, მეტროდან ამოვედი, ჩვეული ახალგაზრდული ნაბიჯით გავემართე შინისაკენ.

ვიგრძენი, უცნობი ვაჟი ამედევნა. ნაბიჯს ავუჩქარე; რამდენიმე წუთს თითქმის გვერდი-გვერდ მივაბიჯებდით.

ლანდად ვხედავდი, მაღალ, მოხდენილ ახალგაზრდას. ცდილობდა გამსაუბრებოდა, თითქოს ვერ ვამჩნევდი.

ქუჩა გადავჭერი თუ არა, წინ გადამეღობა. ჩვენ მოულოდნელად ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდით. მე მკაცრად ავხედე! ის შეცბა, დამაკვირდა: საოცრად ლამაზ თვალებში დაბნეულობა დაეტყო, მერე სწრაფად მიტრიალდა და ხალხში გაუჩინარდა.

– აჩქარდა, – გავიფიქრე და სინანულით გამეღიმა.

გამახსენდა ჩემი მოწაფეობის, მერე სტუდენტობის საუკეთესო წლები...

გულს სიცარიელე დაეუფლა, ტირილი მომინდა. შინისკენ დამძიმებული ნაბიჯით განვაგრძე გზა.

**ლალი ცქვიტინიძე**

# შენ ჩემი სევდის მიზეზო

*ვუძღვნი რუსუდან ლაშხს*

მხედარს ნაბადი ამშვენებს,
ხანჯალს – ქარქაში ტყავისა,
ქალს ყელმოღერილს, ნათქვამი
ფიცის მიცემა ხვალისა.
შენ ჩემი სევდის მიზეზო,
ხიბლი რომ გმოსავს ქალისა,
რისთვის გწადიან ჩამიქრო
თუმც სინათლე ხარ თვალისა.
არა, არ უნდა მენახე,
მარტოს ობლობა მერჩია,
ტიალი ჩემი ოცნება
თანდათან შემოგეჩვია.
სახეზე შენი ღიმილი
პირს მზის სხივებით იბანდა,
ტუჩებზე ლილი შეგეხსნოდა
„ბროლის გულმკერდი გიჩანდა".
არ შემარჩინე ზეიმი,
არც მომირჩინე იარა,
შენ ჩემით რითი შეწუხდი,
შეკითხვამ ჩამოიარა.
არა, არსაით გაგიშვებ
გადაწყვეტილი არისა,
გინდა მესროლო ათასჯერ
რისხვა მშვენიერ თვალისა,

**გურამ ირაკლიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო მდივანი



მხატვარი ცინარა ტერელაძე

მზე ისე აცხუნებდა, რომ ქვებსაც კი ბული ასდიოდა. ქალაქის თავზე უხარმაზარი, ჭუჭყიანი ცის თაღი ქანაობდა. მოთენთილი და მოდუნებული გამვლელები ბუდედანგრეული ჭიანჭველებივით დაბორიალობდნენ.

## დედა

ვერ გაიგებდი, ცრემლით ჰქონდა თვალები სავსე თუ, უბრალოდ, ასე იცოდა ყურება – სხვანაირად, სევდიანად, მომლოდინედ და თანაც, ჩუმი, მოუხელთებელი დაუმორჩილებლობით.

სამზარეულოს კარს მიყრდნობოდა. ერთ ხელში დანა ეჭირა, მეორეში კი თაიგულივით შეკრული მწვანილის კონა.

პატარა, ცისფერკაბიანი გოგონაც თაიგულით იდგა, ოღონდ ვარდების თაიგულით.

კაცი აივნიდან გადაჰყურებდა სიცხისგან მისავათებულ ქალაქს. მშვიდად იდგა. მოდუნებული, დაწყნარებული, მოშვებული, სიმყუდროვისგან გახარმაცებული მზერით.

გაზქურა დაუღალავად ხარშავდა იმას, რაც სამივეს ერთ მაგიდას შემოუსხამდა და სულ ცოტა ხნით მაინც, ერთმანეთს აღაქმევინებდა.

გოგონა გვერდში ამოუდგა კაცს და ხელი შეახო. შარვლის ჯიბემდე თუ სწვდებოდა. დედა დაიძაბა. თვალის გუგები გაუმუქდა და ისეთი აუტანელი მოლოდინი ჩაიგუბა, რომ თავადვე იგრძნო და თავი ჩაღუნა.

კაცმა გოგონას გაუღიმა – თბილად. გოგონამ გაბედა (შეიძლება ამ ღიმილის, ან სულაც, იმ წითელი – თაიგულის გამო) და წვრილი, კაცის სმენისთვის შეუჩვეველი ხმით ჰკითხა:

– ჭერს მისწვდები? – დედის გუგები ჰქონდა.

– რა თქმა უნდა – კაცი დარწმუნებული იყო, რომ მიწვდებოდა. სხეული დაძაბა, ახტა და სამი თითი შეახო ჭერს.

გოგონას თვალებში აღტაცება არ დაეტია და მანაც დაუნანებლად, დაუფიქრებლად გაუნაწილა ყველას: დედას, კაცს, მთელ დასიცხულ ქალაქს...

– შენ შეგიძლია დათოზე ღონიერი იყო?

– შემიძლია კი არა, ვარ. აბა მაჩვენე შენი დათო...

კაცმა სხეული შეკუმშა. მართალს ამბობდა – იგრძნო, როგორ დაეძაბა და დაეჭიმა კუნთები.

– ჯერ ბაღშია. მოიყვანენ და გაჩვენებ, – დიდი ამბით დაპირდა გოგონა და მხიარული კივილით მოწყდა ადგილს.

დედის თვალები შემოდგომის უქარო დღესავით მშვიდი და თბილი იყო.

კაცი ქალისკენ მობრუნდა და გაუღიმა. მანაც ღიმილით უპასუხა და სამზარეულოში შევიდა.

გოგონა კი, უკვე დამტვრეულ-დასახიჩრებული თოჯინებით სავსე კალათს მოათრევდა.

– შეგიძლია მელიას ფეხი გაუკეთო?

– ფეხი მომეცი და გავუკეთებ.

დედა სამზარეულოდან უგდებდა ყურს მათ საუბარს. ეშინოდა კაცის ხმაში მობეზრების, დაღლილობის ან გაღიზიანების ნოტები არ ეგრძნო.

კაცი კი ამ დროს მართლა თამაშობდა ისეთივე გატაცებით, როგორც გოგონა.

– შენ შეგიძლია ეს კალათა ერთი ხელით ასწიო?

– აბა რა... აი, ნახე...

კაცმა კალათა ხელში აიტაცა და თავს ზემოთ ასწია.

გოგონა აღფრთოვანებული ყიჟინით დარბოდა მის ირგვლივ, ბედნიერი იყო. უცებ გაჩერდა, გაჩუმდა და კაცს ახედა. კაცმა კალათა ძირს დადგა, ჩაიმუხლა და ისიც გოგონას მიაჩერდა. გოგონა დუმდა. მხოლოდ უყურებდა თავისი შავი და უცნაური თვალებით. სიჩუმემ დედასაც ხელი ჰკრა, კვლავ კარებთან მიაგდო და კვლავ შეშფოთებადქცეულ მოლოდინად გაიყინა.

– შენ ყველაფერი შეგიძლია? – ნიავივით ჩუმი ხმით იკითხა.

– ყველაფერი? – კაცი დაფიქრდა – თითქმის.

– ალუბალაც?

– რა? – ჩაეკითხა კაცი.

– ალუბალა შეგიძლია მოიყვანო?

– შემიძლია. როდის გინდა?

– მოიყვანე, – გოგონა ალუბალას შესახვედრად მოემზადა.

– ხვალ დილით. გაიღვიძებ და ალუბალასაც მოვიყვან.

– კარგი. – მაშინვე დაეთანხმა და ისევ თვალებში შეხედა. მერე შეტრიალდა და საქმიანი ნაბიჯით წავიდა ოთახისაკენ. შეშფოთებული დედა ფეხდაფეხ გაყვა.

კაცი ისევ ქალისკენ მიტრიალდა. აგრილდა... ქალი ჩუმი ნაბიჯით გამოვიდა ოთახიდან, კარი გამოიხურა და ზურგიდან მოეხვია კაცს. კაცი გაუნძრევლად იდგა, მერე მოტრიალდა და ნაცნობ, გამთბარ თვალებს ჰკითხა:

– სად წავიდა?

– დასაძინებლად. დილით ალუბალას ელოდება. იცი, რა არის?

– არ ვიცი, მაგრამ მოვუყვან.

– როდის მოხვალ? – ამ დროს ქალი ყოველთვის ცდილობდა თვალები მოეხუჭა, ხმა კი გლუვი და მოპრიალებული ზედაპირივით ჰქონოდა.

– დილით. აუცილებლად.

ქალის კოცნაში მადლიერებაც იყო.

კაცი წავიდა.

მეორე დღე გაფუჭებული საათივით გაიწელა. დედა და ბავშვი თამაშობდნენ. დედა ბავშვი იყო, ბავშვი კი დედა. ნებისმიერ ხმაურზე ერთნაირად იძაბებოდნენ. ერთნაირად ეძებდნენ ერთი მეორეს თვა-

ლებს.

ბავშმა ბევრჯერ აკოცა დედას, სანამ დაიძინებდა.

– ჩემი პატარა დედიკო... – ამ სიტყვებით შეაქცია ზურგი და ხელი ლოყის ქვეშ ამოიდო.

ქალს ტირილი უნდოდა. დიდხანს იდგა აივანზე. ქუჩებში ფანრები აანთეს. ისევ ცხელოდა. „იქნებ ისიც ხუმრობით თქვა, რომ მოვიდოდა? ზუსტად ისევე, როგორც ალუბალას მოვუყვანო... არა, მაინც უნდა მოეყვანა. როგორ არ მოუყვანა?"

## გოგონა

დიდხანს არ ეძინა. ფიქრობდა. ჯერ იმაზე, როგორ უნდოდა კიდევ ერთხელ ეკოცნა დედისთვის, მაგრამ ველარ ბედავდა. მერე, როგორ შემოებრუნებინა ოთახში, რა მოეთხოვა, რომ დედა არ გაბრაზებულიყო. მერე ალუბალაზე...

დილით, როგორც კი გაიღვიძა, მიხვდა რომ ალუბალა იქ არ იყო. რომ ყოფილიყო, დიდი ხანია ოთახში იქნებოდა.

მერეც ელოდებოდა. ისე აღარ, მაგრამ მაინც. თანაც შეხედავდა თუ არა, ხვდებოდა; ისიც, დედაც ელოდებოდა. დამნაშავედ გრძნობდა თავს. სულ უნდოდა ეთქვა: „ნუღარ ელოდები. რაკი დილით არ მოიყვანა უცხო მამამ, ესე იგი, ალუბალა აღარ მოვა".

უნდოდა, მაგრამ ვერ თქვა. ამიტომაც, ულაპარაკოდ, უხმოდ დაიძინა. თანაც, ხვალინდელი დილა თვითონ უნდა მოეყვანა. დედამ ხომ უთხრა, რაც ადრე დაიძინებ, უფრო ადრე მოიყვან დილასო...

## კაცი

სანამ სახლამდე მივიდოდა, კიდევ გრძნობდა გამოყოლილ სითბოს. სახლში ცოლი, შვილები, სტუმრები ... დალია. ბევრი დალია. საღამო უნდა მოეკლა და თანაც, მასპინძელი იყო... დილით დაიშალნენ. ცოლი ჭურჭელს რეცხავდა. ბავშვებს ეძინათ და მალე გაიღვიძებდნენ. დაწვა და თვალები დახუჭა თუ არა, დაეძინა.

უცნაური სიზმარი ნახა:

სილაში ბავშვები თამაშობდნენ. თვითონ კი ცაში დაცურავდა როგორც მრგვალი, წითელი ბურთი.

პატარა გოგონა უზარმაზარ სილის კოშკს აგებდა, მაგრამ ეშლებოდა და გაუგონარი სიჯიუტით თავიდან და თავიდან იწყებდა. მერე ზემოთ აიხედა და ბურთს მიაჩერდა თავის შავი თვალებით. თითქოს რაღაცას სთხოვდა დაჟინებით. კაცს ეცნო ეს გამოხედვა, მაგარმ რას სთხოვდნენ ვერ გაიხსენა.

გამოეღვიძა. ქალაქში უკვე საღამო იწვა. ძილიდან გამოუცნობი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და თავის აუტანელი ტკივილი გამოჰყვა. სააბაზანოში შევიდა. ცივი წყალი შეისხა სახეზე და სარკეში ჩაიხედა. გამხდარი და დაბერებული მოეჩვენა თავი. წვერი უნდა გაეპარსა... ხვალ სამსახურში უნდა წასულიყო... კაცმა ონკანი გადაკეტა, წყალი აღარ წვეთავდა...

# გთავაზობთ ინტერვიუს მოთხრობის ავტორთან



## ნინო მდივანთან

ამ რამდენიმე ხნის წინ გალერეა „ქობიში" ჟურნალისტისა და მწერლის ნინო მდივნის წიგნის „ბატონი ეიმსის წითელი კაბის" პრეზენტაცია მოეწყო. ქალბატონი ნინო პროფესიით ფილოლოგია, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მუშაობდა რედაქციებში: „კრიტიკა" (რედაქტორად) და „ლიტერატურული საქართველო", „მომავლის სკოლაში", შემდეგ ტელევიზიაში „ქვიშის საათში", ჰქონდა საავტორო გადაცემა „კავკასიური სამკუთხედი". ამჟამად მუშაობს ახალ პროგრამაზე „ოქროს ვექტორი". როგორც თავად აღნიშნავს, ყველაზე მეტად მაინც ტელევიზიაში მუშაობა მოსწონს, რადგან მთელ დაგროვილ ენერგიას აქ ხარჯავს, კომუნიკაბელურია და უყვარს თავისი საქმე.

## „წითელი კაბა" ანუ კონფლიქტი საკუთარ თავთან

***– ქალბატონო ნინო, რამდენი წიგნის ან მოთხრობის ავტორი ბრძანდებით?***

– ადრე ლექსებს ვწერდი, პროზაზე შემდეგ გადავედი. ეს ჩემი პირველი წიგნია, მასში შეტანილი ათი მოთხრობიდან რვა, ათი წლის წინ დავწერე, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მათი გამოქვეყნება ნაადრევი იყო, ახლა რაღაც ეტაპი გავიარე და დავბეჭდე.

***– რას გვეტყოდით „ბატონი ეიმსის წითელი კაბის" შესახებ?***

– ეს კრებული ჩემი ცხოვრებაა, რომელსაც ოცი წლის მანძილზე განვიცდი, მტკივა. იცით, რას მივხვდი? ათი წლის წინ გარესამყარო ჩემში ნაკლებად შემოდიოდა, უფრო მეტად საკუთარი განცდებით ვიყავი დაკავებული. დღეს კი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, იმასაც ძლიერ განვიცდი, რაც გარეთ ხდება.

საერთოდ, მოთხრობების ყველა პერსონაჟში ჩემი ხასიათი გადამაქვს, მიმაჩნია, რომ როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ქალი, მაინც ქალია თავისი სისუსტეებით, რომელიც შვენის და ქალად ხდის.

ამ წიგნის გამოცემა მთლიანად ჩემი მეგობრების დამსახურებაა. გარეკანზე ნახატის ავტორი ნანა გერასიმოვაა, მასზე მე ვარ გამოსახული. სპეციალურად ავირჩიეთ, რადგან სახე არა აქვს და შინაარსობრივად ახლოსაა წიგნთან.

***– გაგვაცანით თქვენი ოჯახი?***

– ორი შვილი მყავს – 18 წლის გოგონა და 10 წლის ვაჟი, რომელიც თიხისაგან ძერწავს და რამდენიმე ჯგუფურ გამოფენაშიც მიიღო მონაწილეობა. წერს მოთხრობებსაც. ნებისმიერ მოთხრობას იმით ამთავრებს, რომ ღმერთმა აუცილებლად უნდა დაუბრუნოს აფხაზეთი და ჰქონდეს ბევრი ფული. ცხოვრებისადმი ძალიან თანამედროვე, პრაქტიკული მიდგომა აქვს, რაც პირადად მე ვერ გავითავისე.

***– სიხარულს რა განიჭებთ?***

– ბევრი რამ – გაზაფხული, რომელიც რატომღაც მგონია, რომ მეორე წელია არ მოდის, დენის მოსვლაც სიხარულს მგვრის. ისე დაკნინდა ყველაფერი, რომ ადამიანებს პატარა რაღაცეები გვახარებს. მე კი დიდი სიხარული მინდა, რომელსაც მთელი ცხოვრება ველოდები და ვეძებ. გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ.

***– მეოცნებე თუ ხართ?***

– რაღაც ნათელზე, კარგზე რომ არ იოცნებო ადამიანმა, შეიძლება გაგიჟდე.

როცა ლოცვებს ან ბიბლიას ვკითხულობ, ვმშვიდდები. ვთვლი, რომ ჩემთვის ეს დიდი ხსნაა.

***– თქვენი მოთხრობების გმირები ძირითადად თანამედროვე ქალები არიან, რას გვეტყოდით მათ შესახებ?***

– თავადაც თანამედროვე ქალად მივიჩნევ თავს. ვფიქრობ, რომ თანამედროვე ქართველი ქალი ძალიან საინტერესო ფენომენია. მას აქვს უნარი, შვილებისა და ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობა იტვირთოს.

***– რა აზრის ბრძანდებით თანამედროვე ახალგაზრდებზე, რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ მათში?***

– პირველ რიგში, მომწონს მიზანდასახულობა, რაც ჩვენს თაობას აკლდა. ვისურვებდი, რომ უფრო მეტად წიგნიერები ყოფილიყვნენ, რადგან ძალიან მტკივა გული, როცა უწიგნურ ადამიანს ვხედავ.

ესაუბრა გვანცა ყიფიანი

# მსახიობობა პროფესია კი

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნანა ფაჩუაშვილი, რომელსაც სამჯერ მიენიჭა წლის პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, იუბილარია — მრგვალი თარიღი შეუსრულდა. სპექტაკლი დიურენ მარტის „მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი“, რომელშიც მთავარ როლს — კლარა ცახანასიანს ასრულებს, კულტურის სამინისტრომ და თეატრალურმა საზოგადოებამ რუსთაველის პრემიაზე წარადგინა. იგი დღეს ჩვენი სტუმარი გახლავთ.



***— ქალბატონო ნანა, ორი შემოქმედის — ნანა ფაჩუაშვილისა და ტრისტან ყველაიძის ოჯახში ძნელი იქნებოდა ორი ხელოვანის, ორი პარტნიორის ერთჭერქვეშ ცხოვრება, რამდენი წლის ცოლ-ქმარი იყავით?***

— ვფიქრობ ეს დადებითი მოვლენაა, თუმცა ყველა შემოქმედი ასე არ ფიქრობს. მეტი ურთიერთგაგება, საერთო ტკივილი, სიხარული, კომფორტი ამთლიანებს ასეთ ოჯახს. ერთმანეთი სტუდენტობისას გავიცანით, მე პირველ კურსზე ვიყავი, ის — მეორეზე. ისე მოხდა, რომ მოულოდნელად გავთხოვდი თამაზ აფხაიძეზე. ტრისტანმა მაშინ თქვა, რომ სწორი არჩევანი გააკეთე, ისეთი ვაჟკაცი იყო თამაზი. ოთხი თვის შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა, სამი თვის ფეხმძიმე დავრჩი. შემეძინა ვაჟი თამაზ აფხაიძე, ახლა 38 წლისაა. ჩემი და ტრისტანის სიყვარული ისევ განახლდა... მაშინ ჩემი შვილი თვეების იყო. ტრისტანმა გაზარდა: რუსთაველის თეატრის მსახიობები ვიყავით, როცა ვიქორწინეთ, შეგვეძინა ხათუნა, იგი თეატრმცოდნეა, უცხოელზე გათხოვდა და საზღვარგარეთ ცხოვრობს.

ცოლ-ქმრისთვის საერთო პროფესია ბევრს ნიშნავს, ერთი პერიოდი სცენაზე სულ პარტნიორები ვიყავით, ხან ცოლ-ქმარი, ხან შეყვარებულები. ბატონმა რობერტ სტურუამ პირველად ორაციან პიესაში — გელმანის „გასაღებში“ დიდ სცენაზე გამოგვიყვანა მე და ტრისტანი, სპეციალურად ჩვენთვის დაიდგა ეს სპექტაკლი. ერთ მოქმედებაში ცუდად შეიქნა, წამალი დალია, გული აწუხებდა, ხშირად გადიოდა კულისებში წყლის დასალევად, საშინლად განვიცადე, ნერვიულობისგან სულ ამოვვარდი როლიდან, საკუთარ თავს ვერ ვცნობდი.

ჩვენ ალბათ აუცილებლად უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. ერთ ბაღში დავდიოდით, ერთ აგარაკზე ვისვენებდით, თეატრალურ ინსტიტუტშიც ერთად ვსწავლობდით. ქორწინებაც კანონზომიერი იყო, განგებამ ასე ინება.

***— ბატონი ტრისტანი, მთის შვილი, რთული პიროვნება იყო?***

— სხვადასხვა ხასიათი გვქონდა. ოჯახში ერთ-ერთი უნდა იყოს დამთმობი, ის დამთმობი იყო, მე უფრო აფექტების ქალი ვარ. იყო ზედმიწევნით განათლებული, ნაკითხი, სხვანაირად მოაზროვნე, განსაკუთრებით ფილოსოფიურ ლიტერატურას ეტანებოდა, თავადაც ფილოსოფიურად აზროვნებდა, ზუსტი ანალიზის უნარი ჰქონდა. საშინლად სტკიოდა სამშობლოს გასაჭირი. ჩვენი ვაჟი სამჯერ იყო აფხაზეთის ომში. ის ტკივილი, რაც მაშინ სუფევდა ირგვლივ, ჩვენს ოჯახსაც დაეტყო, ტრისტანს გულმა უმტყუნა, ხუთი წლის წინ გარდაიცვალა. საოცარი სილამაზის შეგრძნება ჰქონდა, პატივს სცემდა განათლებულ ადამიანებს, მათ მიმართ მოწიწებით იმსჭვალებოდა. როცა ავადმყოფობამ ხელი დარია, ჩაიკეტა, განმარტოვდა, მხოლოდ ახლო მეგობრებით შემოიფარგლა, სიმშვიდე უნდოდა. თავიდან ქეიფი უყვარდა, იყო ლაღი მთის შვილი, ამაყი, კარგად მღეროდა, ცეკვავდა, უყვარდა შვილები, შვილიშვილები, ოჯახი. ხელს მიწყობდა, როცა რთული რეპეტიციები ან პრემიერა მქონდა, სადილსაც კი შემაშველებდა, ისეთ კერძს დამახვედრებდა, რაც მიყვარდა. ამაგს ვუფასებდი, შეძლებისდაგვარად ყურადღებიანი ცოლი ვიყავი.

***— დავაკონკრეტოთ თქვენი დასამახსოვრებელი როლები სცენაზე: ევა — „ღვთაებრივი კომედია“. მზია — „ჭინჭრაქა“, პოლი პიჩემი — „სამგროშიანი ოპერა“, სონა — „ხანუმა“, ანისია — „მეუფება წყვდიადისა“, ადელა — „ბერნარდა ალბას სახლი“, არიცია — „ფედრა“, ლედი ანა — „რიჩარდ მესამე“, კინოში?***



ნანა ფაჩუაშვილი და ტრისტან ყველაიძე

— დაკონკრეტების წინააღმდეგი ვარ. ასამდე როლი მაქვს სცენაზე შესრულებული. კინო არ მწყალობდა, არც მე ვწყალობდი კინოს. ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში იყო ისეთი როლებიც, რომლებიც არც კი ახსოვს მაყურებელს. არ მინდა რომელიმე გამოვარჩიო. ყველა ერთნაირად მიყვარს, მთავარიც და ეპიზოდურიც, გავიხსენებ პირველს — „ღვთაებრივ კომედიას“, მე ვიყავი ევა, ადამი — კახი კავსაძე, ღმერთი — ეროსი მანჯგალაძე, ეშმაკი — გოგი გეგეჭკორი, ანგელოზები — კარლო საკანდელიძე და ბორია წიფურია, რა თანავარსკვლავედია არა, მეოთხე კურსის სტუდენტისათვის! ჩემი ბოლო ნამუშევარია დიურენ მარტის „მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი“ — კლარა ცახანასიანის როლი. იგი ერთ-ერთი მდიდარი ქალბატონია მსოფლიოში, რომელსაც საშუალება აქვს იმოქმედოს როგორც უნდა. აქვს მომადლებული იუმორის გრძნობა, ადამიანებს უყურებს როგორც საქონელს, სახმარ ღირებულებას, ყიდულობს მათ, მთელ გუბერნიასაც, საკმაოდ კლანჭებიანი ქალბატონია, ბოლოს სიყვარულს, შურისძიებას

# არა, მძიმე ხვედრია



ნანა შვილთან და შვილიშვილებთან



ნანა ფაჩუაშვილი, რობერტ სტურუა და თემურ ჩხეიძე



„სიკვდილის როკვა“ — ალისა

ეწირება.

***— მინდა გამოკვეთილად შევეხოთ თემურ ჩხეიძის შესანიშნავ ტელესპექტაკლს „ჯავოს ხიზნები“. მარგო — დაუვიწყარი ნანა ფაჩუაშვილი, შთამბეჭდავი, გამაოგნებელი ავბედითობით განწირული სახე ქალისა. მახსოვს, გემოვნებიანი მაყურებელი ცრემლს ღვრიდა, როგორი თავდასხმა მოუწყო ქუთაისელმა ვაი-პედაგოგმა ამ სპექტაკლს?***

— ბედისწერაა მსახიობისათვის, როცა დრამატურგიულად, რეჟისორულად, მხატვრულად ამაღლებულ ასეთ სპექტაკლში მოხვდება. ეს იყო ნიჭიერების ნამდვილი სინთეზი. რეჟისორის თამამი სვლა, რომელმაც დამაყენა ფეხზე. ჩემი შემოქმედების შემდეგი პერიოდი უკავშირდება ბატონ რობერტ სტურუას, მასთან გატარებულ ოცდახუთ წელს, გამოვარჩევ „რიჩარდ III“-ში ლედი ანას. დგება რეზიუმე — ადრე ვიყავი გამოუცდელი, ახალგაზრდა, ვთამაშობდი გოგოებს, იდეებს შეწირულებს, რომელთა მიმართ ძალადობას იჩენდნენ. იყვნენ უსუსურებიც. შემდეგ იყო მარტოხელა, მარტოსული როლები, მქონდა სურვილი ასეთი ქალებისათვის გამეგო, მათკენ ვისწრაფოდი. ბოლოს ძლიერნი ამა ქვეყნისანი, იყვნენ — შეუპოვარნი, ამაყნი, ვნებებით გაჯერებულნი, ვცდილობდი სხვა ფერებში, სხვა ამპლუაში წარმოვჩენილიყავი.

***— ქალბატონო ნანა, მთელმა მსოფლიომ იცის ჰოლივუდის მსახიობების ყველა წვრილმანი. გქონდათ გატაცებები თუ ბოლომდე მეუღლის ერთგული დარჩით?***

— ეს იმდენად ინტიმური კითხვაა, პასუხს ვერ გაგცემთ. ეს ჩემი საიდუმლოა, ჩემი სამზარეულოა, ასეთი შეკითხვა ჩემთვის არცერთ ჟურნალისტს არ მოუცია, ვინაიდან მე ვარ დედა, ქართველი ქალი. ჰოლივუდის მსახიობები სხვა მენტალიტეტით ცხოვრობენ (გულიანად კისკისებს, სიცილი ძალიან უხდება).

***— მსახიობობა პროფესია კი არა, მძიმე ხვედრიაო — წერდა ერთგან მსახიობი ტრისტან ყველაიძე. მასზე ამბობდნენ, სასწაულის მოხდენა შეეძლო სცენაზეო. მერე და შინაგანად და გარეგნულად რა მომხიბლავი იყო, თქვენც ასე ფიქრობთ?***

— ჭეშმარიტად მეც მაგ აზრის გახლავართ, თუმცა ტრისტანისთვის რომ ეს კითხვა დაგესვათ, ისეთი მომთხოვნი და კრიტიკული იყო საკუთარი თავისადმი, შეგეწინააღმდეგებოდათ, მე რა სასწაულის მომხდენი ვარო, იტყოდა. ნანობდა, შევცდი პროფესიის არჩევანშიო, არანაირ კომპრომისზე არ წავიდოდა, არ ჰქონდა ლავირების უნარი, ზედმიწევნით პრინციპული, მართალი პიროვნება იყო, ეს იყო მისი მთავარი ღირსება, უყვარდა თქმა — ყველაზე დიდი მტერი ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში მისი უდიდებულესობა ტრისტან ყველაიძეა, რომელიც ხელს მიშლის მუშაობაში.

***— თქვენ ჩვენი კოლეგა ბრძანდებით, საინტერესოა თქვენი თეატრალური გადაცემები სატელევიზიო არხზე „ევრიკა“?***

— ჟურნალისტობის არანაირი პრეტენზია არა მაქვს, გულწრფელი დიალოგის მომხრე ვარ, ჩემი რესპონდენტები ჩემი კოლეგები არიან, ვცდილობ მრავალმხრივად წარმოვაჩინო და ისე შევახვედრო მაყურებელს.

***— რა დაგრჩათ გასაკეთებელი? თქვენი აუხდენელი ოცნება, როლი, რეჟისორი?***

— კარგა ხანია ოცნების პერიოდიდან გამოვედი. ვარ რეალისტი, ოცნება ოცნებად რჩება. როლებიც ასევეა, ზოგჯერ სულ რომ არ ელოდები, ისეთი წარმატება მოგივა. დავით ანდღულაძემ „მედეაში“ კირკეს როლი ჩემთვის შექმნა, არ ველოდი, ისეთი წარმატება ხვდა. ოთხ თეატრში ვარ დაკავებული: რუსთაველის, ახმეტელის, თავისუფალსა და სარდაფის.

***— ბედით კმაყოფილი ხართ?***

— დიდი დანაკლისია ჩემს ასაკში მეუღლის დაკარგვა. მყავს შვილები, შვილიშვილები, ამაზე დიდი ბედნიერება არ მეგულება. როგორ შეიძლება ჩემი ბედით კმაყოფილი არ ვიყო, თუმცა ყველაფერი შედარებითია, შემოქმედებითად ნამდვილად გამიმართლა, პირად ცხოვრებაშიც ბედნიერ ქალად ვთვლი თავს: მქონდა ორი დიდი სიყვარული, ორი შვილი, ორი შვილიშვილი, ორი ცხოვრება — თეატრი და ოჯახი. მადლობა უფალს, რაც მარგუნა (მორწმუნე გახლავართ), ეს არის ჩემი ჯვარი, რაც ღირსეულად უნდა ვატარო.

***— რამე გატაცება თუ გაქვთ, გიყვართ სამზარეულო?***

— არანაირი გატაცება არ გამაჩნია. როცა დიდი ოჯახი მქონდა, მიყვარდა სამზარეულო, ვწვებოდი ძალიან გვიან, ეხლა აღარ მიყვარს, „სუპერმარკეტია“ ჩემი ხსნა.

***— არ მერიდება იმის თქმა, რომ ჩვენი ცნობილი, სახელოვანი, ნიჭით მომადლებული, ბუნებით ლამაზი მსახიობებით***

ეროვნული ბიბლიოთეკა



● „მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი“ – კლარა ცახანასიანი

*უეჭველად იამაყებდა ჰოლივუდი.*

– ჩვენი შეჭირვებული ყოფიდან გამომდინარე რამდენ რამეს ვიტანთ, გვიყვარს ჩვენი პროფესია და იმიტომ, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს არის ფანატიზმი, უცხოეთში არავინ არაფერს ქმნის უანგაროდ, უფასოდ ვემსახურებით ჩვენს საქმეს, კულისებში, საგრიმიოროში გამყინვარებაა, ჩაფუთნული ზის მაყურებელი, რას იზამ, როგორ ქვეყანაშიც ცხოვრობ, იმ ქვეყნის ქუდი უნდა დაიხურო, რამეთუ ჩვენთვის და მაყურებლისთვის თეატრი დღესასწაულია, განუმეორებელი სამყაროა, ზეიმია, სილამაზეა, სანახაობაა. თეატრი განგაცდევინებს, გამდიდრებს, გასწავლის, თეატრი მსხვერპლსაც მოითხოვს, მოქმედებს ადამიანის შეგნებაზე, აფხიზლებს, ამდიდრებს, თეატრი ფანტაზიის კუნძულია, სადაც სხვის ტყავში ძვრები და სხვად გარდაიქმნები. შენი ხელოვნება სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს, შეიძლება უარყოფითი როლი ითამაშო, სხვამ – კეთილი, ორივე შემთხვევაში სათქმელი დადებითი უნდა იყოს მაინც. მსახიობი მუდამ ახლის ძიებაშია, ახალ ხერხებს, ახალ ფორმებს და მეთოდებს ეძებს. ფუჭი ემოციით და განცდით მაყურებელს ვერ დაიპყრობ, შეძლებისდაგვარად უშეცდომოდ უნდა იმოღვაწო. ადამიანმა თავის თავს სხვისი თვალითაც უნდა შეხედოს, რომ ობიექტურობას არ ასცდეს. საფრანგეთში რამდენიმე მსახიობს დაუყენეს ფარული კამერა, მაია პლისეცკაიამ აიღო ესთეტურობისა და პიკანტურობის პრიზი. მიხვრამოხვრა, თავდაჭერა, მისი ქცევის კულტურა სამაგალითოდ მიიჩნიეს ფრანგებმა.

**გარდა იმისა, რაც მასთან საუბარში შევიტყვეთ, დამატებით შემიძლია გითხრათ, რომ უყვარს კინო, კარგი წიგნი, კლასიკური მუსიკა, ჰყავს უამრავი მეგობარი, მის ცხოვრებაში თითქმის ყველაფერი თეატრის გარშემო ხდება. არის ზედმიწევნით სტუმართმოყვარე (რაშიც თავად დავრწმუნდი). მიუხედავად მეუღლის დაკარგვით გამოწვეული დარდისა (თვალები სულ ცრემლით აქვს სავსე), ცდილობს გარშემომყოფთათვის მოსაწყენი ადამიანი არ იყოს.**

**ნანა ფაჩუაშვილი ისეთ ასაკშია, წინ ახალი შემოქმედებითი წარმატებები ელის.**

ნანული ბუკია



*საყვარელი საქმე*

ოდესმე გინახავთ ყვავილებში ჩაფლული მზეთუნახავი ბარბი, პირდაპირ ენაზე რომ გადნებათ? უგემრიელეს კრემზე დასკუპებული ონავარი მიკი მაუსი და მისი განუყოფელი მეორე ნახევარი მინი? არც ასათვლელად გამზადებული უზარმაზარი ვერტმფრენი? ულამაზესი ვარდებისა და ასტრების თაიგული, რომელთა დასაკრეფად თავისით მიიწევს ხელი და ცდუნებას ძლივს უძლებთ? თუ არ გინახავთ და, მით უმეტეს, არც გემო გაგისინჯავთ, ჩათვალეთ, რომ ეს სიამოვნება ჯერ კიდევ გელით.

# მშვენიერისა და ორიგინალურის ფასი

ქ-ნი ზოია რობაქიძე პროფესიით მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე გახლავთ, თოიძის სახ. სამხატვრო ლიცეუმში მოღვაწეობდა და სტუდენტთა ჯგუფს ფერწერას ასწავლიდა. საკმაოდ ნიჭიერი ხელოვანია და მშვენიერი ნამუშევრებიც აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სფეროსთვის დღეს ვეღარ იცლის.



ტორტების ცხობა გარემოებამ აიძულა, თუმცა, თუ დაეჯერება, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ბისკვიტის ამოყვანაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. როგორც ნებისმიერი ქართველი დიასახლისი და ტრადიციული ოჯახის დედა (სამი შვილი ჰყავს – უფროსი ქალიშვილი ნათია ჟურნალისტია, ვაჟი გიორგი – მხატვარია, პატარა მარი სკოლაში დადის, მეუღლე – დემურ ჩარჩხალია მხატვარი გახლავთ), მშვენიერ სადილებსა და გემრიელ ნამცხვრებს ამზადებდა, მაგრამ ტორტის გამოცხობა, მით უფრო გაფორმება, ნამდვილად არ ეხერხებოდა. უბრალოდ, გახეხილი ნიგვზითა და შოკოლადით ფარავდა ტკბილეულის ზედაპირს და იოლას გადიოდა.

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ოჯახთან ერთად ახვლედიანის (პეროვსკაიას) ქუჩაზე შვიდ ნომერში გადმოვიდა საცხოვრებლად. მძიმე პერიოდი იდგა – უმუშევრობა, უფულობა, უშუქობა... ზოიასაც ისე გაუჭირდა, როგორც ბევრ თბილისელ ინტელიგენტს, რომლებსაც დამატებითი შემოსავლის წყარო არ ჰქონდათ. დიდხანს იფიქრა, როგორ დახმარებოდა ოჯახს და ბოლოს ტორტის გამოცხობა და ჩაბარება გადაწყვიტა. „პეროვსკაიაზე“ მდებარე პატარა მაღაზიების ვიტრინებში მაშინ უამრავი ბეზეს სოკოებიანი ტორტი იწონებდა თავს და მათთვის კონკურენცია რომ გაეწია მისი ნახელავი ლამაზიც უნდა ყოფილიყო და გემოთი გამორჩეულიც.

პირველივე ცდა წარმატებული გამოდგა. ზოდიაქოთი თევზები გახლავთ, ორიგინალობა უყვარს და თუკი თავიდანვე მოეცარა







ხელი, ინტერესს კარგავს. ერთი სიტყვით, მოინდომა და ბისკვიტი გამოუვიდა. მერე მორთვაც ისწავლა. კარგად ახსოვს ის პირველი ტორტი, ვარდებით რომ გააფორმა. თავიდან მის ბიზნესს დიდი წარმატება არ მოჰყოლია. ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია. ორი წლის შემდეგ იმდენს მიაღწია, რომ მაღაზიაში უკვე წინასწარ უხდიდნენ ფულს. დღეს ძალიან ემადლიერება ქ-ნ მანანა წივწივაძესა და რუსუდან აბრამიშვილს, გემოვნებიან და ორიგინალურ პიროვნებებს, რომლებსაც იმ ხანებში „პეროვსკაიაზე“ ყველაზე საუკეთესო მაღაზიები „თეთრი ღამე“ და „პიკნიკი“ ჰქონდათ გახსნილი. ისინი ჭკვიანი ბიზნესმენები გახლდნენ და ზოიას შესთავაზეს, ჩვენთან მოიტანე შენი ნახელავი, ფინანსური პრობლემა არ გექნებაო. მანანას შეფასება მისთვის ბევრს ნიშნავდა და თავადაც ირწმუნა საკუთარი შესაძლებლობები. მერე სხვებიც დაინტერესდნენ მისით. ახლა ბინაზე იღებს შეკვეთებს და ძირითადად საქორწინო ტორტებზე მუშაობს, თუმცა მსურველებს არც მომცრო ზომის ტკბილეულზე ეუბნება უარს, დღეს ზოიას ნახელავს მაღაზიაში ველარ შეხვდებით, რადგან ბევრმა ისარგებლა მისი სახელითა და გაფორმების სტილით და საკუთარი „ნაღვაწი“ „ზოიას ტორტად“ გაასაღა.

„ფრთათეთრათი (კალა) ტორტი რვა წლის წინ პირველად მე მოვრთე. ღამეები ვათენე – ჯერ დავხატე, მერე ვფიქრობდი, რა მასალაში გამომეძერწა, როგორ გამეშრო, ფორმა რომ არ დაეკარგა. მაგრამ რა? როგორც კი მაღაზიაში ჩავიტანე, მაშინვე გადაიღეს. სილამაზე ჯანდაბას, მაგრამ გემო? ბევრი ტკივილი განმიცდია ამის გამო. ზოგჯერ მეტყვიან ხოლმე, ამა და ამ ქორწილში შენი ტორტი ვიგემეთო, მაგრამ ბევრჯერ ტყუილი გამომდგარა. ახლა მოვიფიქრე და ყველა ჩემს ნახელავს ბეზეს ინიციალებს გავეკუთებ. ალბათ, ამასაც გადაიღებენ...“ – გულდაწყვეტილი ამბობს ზოია.

არც გაემტყუნება. მოსწონს და უყვარს თავისი საქმე, სტილი და გული სტკივა, როცა ამდენ ნაფიქრ-ნაშრომს ასე ურცხვად „პარავენ“. არადა, ბედნიერია, ადამიანებს რომ მოსწონთ მისი ნახელავი, აღფრთოვანებას ვერ მალავენ.

თბილისში ამ ცოტა ხნის წინ დაბრუნებული ზოია რობაქიძე ოჯახთან ერთად ერთი წლის მანძილზე მოსკოვში ცხოვრობდა, სადაც მიწვევით მუშაობდა და თავის არაჩვეულებრივ ხელოვნებას რუსეთის დედაქალაქის მცხოვრებლებს აცნობდა. მერე ცნობილი საკონდიტრო ფაბრიკა „წითელი ოქტომბერი“ დაინტერესდა მისით, საკონდიტრო საამქრო „ბაბაიაშიც“ მუშაობდა, რომელიც პრესტიჟული რესტორნებიდან იღებდა დაკვეთებს. სწორედ მაშინ მოიპოვა ელიტარულ წრეებში ზოიას ნახელავმა პოპულარობა. მისი არაჩვეულებრივი ტორტი ამშვენებდა კრისტინა ორბაკაიტეს დაბადების დღეს, ხოლო როცა არბატზე მოწყობილ საკონდიტრო ნაწარმის გამოფენა-დათვალიერებაზე მყოფმა მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა თბილისელი ქალბატონის „ტკბილ საოცრებაზე“ გამოყვანილი ულამაზესი ორნამენტები და ყვავილები იხილა, ვერაფრით დაიჯერა, რომ მათი დაგემოვნება შეიძლებოდა.

ოჯახში აფასებენ მის საქმიანობას, რომელსაც ფინანსურ კეთილდღეობაზე მეტად შემოქმედებითი კმაყოფილება მოაქვს მისთვის. მეუღლეს, როგორც პროფესიონალს, მოსწონს ზოიას მხატვრული გაფორმების სტილი და ზოგჯერ იდეებსაც აწვდის. დედის ოსტატობით ყველაზე მეტად პატარა მარი იწონებს თავს, თუმცა მისი ტორტით ხშირად არ არის განებივრებული. „ძალიან მოუცლელი ვარ, მაგრამ საოჯახო წვეულებებისთვის იძულებული ვარ გამოვაცხო. სტუმრები ხომ ჩვენთან ძირითადად ტორტის გამო მოდიან“, – ეცინება ქ-ნ ზოიას.

როცა მოსწავლეების აყვანაზე ჩამოვუგდე სიტყვა, თავი შეიკავა – მომწონს ჩემი სტილი და მინდა, ოჯახში დარჩესო. კმაყოფილი იქნება, თუკი მისი ქალიშვილები ისწავლიან ცხობას, თუმც ღრმადაა დარწმუნებული, რომ ამისათვის ბუნებრივი ნიჭია საჭირო და მსგავსი სილამაზის შექმნა მხოლოდ მხატვარს ხელეწიფება. ამიტომ სერიოზულად ოცნებობს მხატვარ რძალზე.

როგორც ნებისმიერ შემოქმედს, მუშაობის დროს სიწყნარე და მარტოობა უყვარს. ახალ ორნამენტსა და ყვავილზე ძირითადად ღამე მუშაობს, როცა ყველას სძინავს. მორთვის დროსაც სამზარეულოში არავის ახედებს და ერთი საქორწინო ტორტის გალამაზებას 3-4 საათს ანდომებს. „მოსკოვში ცოტა ავუჩქარე ხელს, დათმობაზე წავედი, რადგან ხალხს ბიზნესი ჰქონდა წამოწყებული, მაგრამ საკუთარი სტილისთვის არ მიღალატია“, ამბობს ზოია რობაქიძე, რომელსაც ძალიან უყვარს მრავალფეროვნება, თუმცა ძირითადად მაინც დამკვეთის სურვილს ითვალისწინებს. ადამიანებიც ენდობიან მის გემოვნებას, რაც თავად არ მოსწონს, სხვასაც არ შესთავაზებს, ანუ როგორც უყვარს ხოლმე თქმა, „ხარვეზს მუშაობაში არ დაუშვებს“.

საქორწინო ტორტის გაფორმებისას აუცილებლად ითვალისწინებს საპატარძლოს კაბის ფერს, ფასონს, საბანკეტო დარბაზის მორთულობას. მისი ჯერჯერობით ბოლო „საქორწინო საოცრება“ ოქროსფერ, მოყავისფერო, მოყვითალო, ჩალისფერ და შინდისფერ ტონებში იყო გადაწყვეტილი. ისეთი შემთხვევაც ჰქონია, როცა პატარძლის ოჯახს კაბის გასაწყობი „როკოკოები“ მოუტანია და მისი გათვალისწინებით ისეთი ტორტი მოურთავს, პატარძალი და მისი ულამაზესი კაბა ყველას დავიწყებია.

ახლო მომავალში, ამჯერად უფრო სოლიდური შემოთავაზებით, ოჯახთან ერთად კვლავ მოსკოვში აპირებს გამგზავრებას. ჯერ არ იცის, როგორ წარიმართება საქმე, რადგან, როგორც ცნობილია, ბიზნესში ყველაფერს წინასწარ ვერ განჭვრეტ.

ჩვენ კი ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მშვენიერისა და ორიგინალურის ფასი (თუკი გემრიელიცაა!) ყველგან კარგად იციან, ამიტომ მის წარმატებაში ეჭვი არ გვეპარება.

მანანა იმედაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შსასრულდო ფანტაზია

ჩაჰკიდებდა დედა ხელს პატარებს და გარბოდნენ ბათუმის თეატრისაკენ, იქვე, სახლის ახლოს. სცენიდან მამის ხმას რომ გაიგონებდნენ, ჩურჩულებდნენ: „მამიკო, აქ ვართ!"

ერთხელაც ეს ჩურჩული ხმამაღალი გამოდგა, როცა სპექტაკლის მსვლელობისას გაიოზ გოგიბერიძემ პარტნიორს ჰკითხა: „სად არიან ჩემი შვილები?" გოგლას და ნინოს ეგონათ, მამა ჩვენ გვეძებსო და ერთხმად შესძახეს: „აქ ვართ, მამიკო, აქ!„"

მამა, გაიოზ გოგიბერიძე, საქართველოს სახალხო არტისტი, ცოცხალი აღარ არის.

გოგლა გოგიბერიძე ბათუმის ოპერის თეატრის მხატვარია.

ნინო გოგიბერიძეს კი — ნიჭიერ მხატვარ-დიზაინერს, არაჩვეულებრივი მოდელების ავტორს, მრავალი პრესტიჟული და საერთაშორისო გამოფენის მონაწილეს, გრან-პრისა და სპეციალური პრიზების მფლობელს დღეს წარმოგიდგენთ.



● ნინო გოგიბერიძე

ნინოს ბინაში, რომელიც სახელოსნოს მოგვაგონებს, კედლებზე ნაირფერი ტანსაცმელი ჰკიდია, საოცარი ფანტაზიითა და მაღალი გემოვნებით შექმნილი, რომელთა შეძენა ბევრმა მოისურვა, მაგრამ გასაყიდად ვერცერთი გაიმეტა. ისინი მის მარტოობას ავსებენ.

მარტო მაშინაა, როცა ესკიზებს ჰქმნის, ქსოვილს ჭრის, კერავს, ნაქარგებით, მაქმანებით, აქსესუარებით ამშვენებს. მარტო აღარაა, როცა ელიტარულ გამოფენებზე მის შემოქმედებას აღტაცებით ათვალიერებენ, მოსწონთ და პრიზით აჯილდოვებენ.

...არ შემცდარა პროფესიის შერჩევაში. მისადმი სიყვარული ბავშვობიდან მოსდევს, იმ დღეებიდან, როცა დიდ დროს მამასთან ერთად თეატრში ატარებდა და საოცარ ტანსაცმელში გამოწყობილ მსახიობებთან მეგობრობდა... მასში ჩაბუდებული ნიჭი სწორედ მაშინ აღმოცენდა.

ამიტომაც ბიოლოგის დიპლომი გვერდზე გადადო და მეორე დარგი აირჩია, კვლავ თბილისის უნივერსიტეტს მიაშურა, ხელოვნებისა და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ტანსაცმლის მხატვრული მოდელირების განყოფილების სტუდენტი გახდა. ნინო არაჩვეულებრივი პედაგოგების და ნიჭიერი თანაკურსელების წრეში აღმოჩნდა, რამაც დაოსტატებაში შეუწყო ხელი. პირველი აღიარება, როგორც დიზაინერმა, 1994 წელს სადიპლომო თემის დაცვაზე იგრძნო. ხუთიანზე შეფასებული კოლექცია „რომანტიკული გასეირნება" მისი წინსვლის დასაწყისი იყო. ქუჩაში გამოსასვლელი, სასეირნო ტანსაცმელი ნინომ აბრეშუმისა და ნეილონისაგან შეკერა, მას ტილო, ნაქარგი, მაკრამე, აქსესუარები შეუხამა, ტროსტით, ქოლგით, მინდვრის ყვავილებიანი კალათით, მოხატული ქუდებით დაამშვენა.

მოდელების სახლში მისი სადიპლომო ნაშრომი სენსაციად იქცა...

მომდევნო წლებმაც წარმატებით ჩაიარა: იყო გამოფენები მარჯანიშვილის თეატრსა და მთაწმინდაზე — ბიზნეს-კლუბში, საქართველო-გერმანიის ფესტივალი — „ღვინობისა — ახალი სახეები" მეტეხი-პალასში, ავანგარდული მოდის ანსამბლეა...

1995 წელს ავანგარდული მოდის ასამბლეაზე ნინომ ორი თემა წარადგინა:

1. ანტიკვარიატი — ჭურჭლის ასოცირება ტანსაცმელთან. 2. ზღვის სამყარო — ზღვის ცხოველების ასოცირება ტანსაცმელთან. 50 დიზაინერი მონაწილეობდა ამ ასამბლეაში. ნინო მათ შორის უნდა გამორჩეულიყო. შემთხვევით ხელთ ჩაუვარდა სიძველეთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, მიიზიდა იქაურმა ფერებმა, ფორმამ... და შექმნა ანტიკვარიატი — ჭურჭლის და ზღვის ცხოველების ასოცირება ტანსაცმელთან, რაც ავანგარდული მოდის გვირგვინად იქცა.



„1998 წელი — დიზაინი თბილისში". ამ გამოფენაზე გამობრწყინდა ახალი კოლექცია „ნოქტიურნი" — ისტორიული კოსტუმებიდან გამომდინარე თანამედროვე გადაწყვეტა.

„ბერიკონი — 2000" — საერთაშორისო ფესტივალი. ნინოს „გრან-პრი" მიაკუთვნეს აფრიკელი ხალხის ტანსაცმლის კოლექციისათვის. ეს იყო გასაოცარი ნამუშევარი — აფრიკელი ხალხის კულტურით, ყოფაცხოვრებით, მოდით შთაგონებული. ნინომ მუშაობა ფერთა გამაზე, კონტრასტებსა და ნახევარტონების შეხამებაზე ააგო. აფრიკის კოლექციის გავრცობას იგი კვლავაც აპირებს, ოღონდ საზეიმო ჩვენებას ღია ცის ქვეშ გეგმავს.

...მისი ბინის კედლები კვლავ ნახატებითაა მოფენილი. ოთახის ერთ კუთხეს ზღვის ცხოველის — მედუზის ფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმის აბაჟური ანათებს, რომელიც პირველ ავანგარდულ ასამბლეაზე ერთხმად მოიწონეს. მისი შუქი კედლებზე ეცემა, სადაც კოსტუმები, კაბები, აქსესუარები, ქუდები, ფეხსაცმელები, ქოლგები, კალათები იწონებენ თავს. ეს ყველაფერი ნინოს ხელითაა შეკერილი. რადგან ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული, ის, რაც მკერავმა უნდა შეასრულოს, ნინოს გასაკეთებელია. პროფესიონალ დიზაინერს მხოლოდ ესკიზებთან უნდა ჰქონდეს საქმე, ნინოს კი „შავი სამუშაოს“ შესრულებაც უხდება.

დიდი გამოცდილება მიიღო ნინომ ბათუმის ოპერის თეატრში სპექტაკლ „ტურანდოტისათვის“ შექმნილ კოსტუმებზე მუშაობისას (მხატვრული დამუშავება, ნაქარგობა, აპლიკაცია). კოსტუმების ავტორი კი მისი ძმა გოგლა გოგიბერიძე იყო.

ერთ ბედნიერ დღეს გერმანელმა ბიზნესმენმა და ერთ-ერთი გერმანული ფირმის მენეჯერმა რაინერ კუბერამ მისი ნამუშევრები ნახა და ნინო სამ დიზაინერთან ერთად გერმანიაში მიიწვია, სადაც თავიანთი ნამუშევრები უნდა გამოეფინათ. ფრანკფურტის აეროდრომზე კოლექციით სავსე მისი ჩემოდანი შემთხვევით სხვამ წაიღო. ბედად კაბების ესკიზები აღმოაჩნდა და ჩვენებებზე ისინი წარადგინა. შთაბეჭდილება ისეთი დიდი იყო, რომ მის შემქმნელს გერმანიის ქალაქ ტრირის დიზაინის ინსტიტუტის მოდელირების კათედრაზე მუშაობა შესთავაზეს. ლექციების წაკითხვაში ენის ბარიერმა შეუშალა ხელი, მაგრამ ამ მისიის შესრულებას სამომავლოდ მაინც ფიქრობს.

...გერმანიაში ვიზიტი გამოცდილების გაზიარება იყო. რაინლანდჰფალცის ქალაქ მაინცის საზოგადოება გაეცნო ქართველი მემოდელეების მუშაობას საქორწინო კაბების, კოსტიუმებისა და აქსესუარების დიზაინზე, ბუნებრივი შალისაგან ნაქსოვ ტანსაცმელზე. აღფრთოვანებულმა მასპინძლებმა მათ თავიანთი მაღაზიები და ატელიეები დაათვალიერებინეს. ბატონმა კუბერამ ფართო აუდიტორიის წინაშე ოფიციალურად განაცხადა, რომ „ქართველი დიზაინერების ნამუშევრების დონე და ხარისხი ბევრად აღემატება გერმანული მოდური პროდუქციის და აქსესუარების ხარისხს.“

სულ მალე გერმანიიდან დაბრუნებული ნინო გოგიბერიძე და მაია ბაქრაძე ბატონ კუბერას თაოსნობით უზბეკეთის საქმიანი ქალების ასოციაციამ ტაშკენტსა და ბუხარაში მიიწვია. ნინო – აფრიკული კოლექციით, მაია – გათანამედროვებული ძველებური სამოსით: ნინოს ნამუშევრებით მოხიბლულმა ანა გოკელმა, პარიზში მომუშავე დიზაინერმა მას პარიზში გამოფენის მოწყობა შესთავაზა.

ტაშკენტის შემდეგ ნინო მოსკოვში დსთ-ს ქვეყნების დიზაინერთა მოდელების გამოფენაზე გაემგზავრა, სადაც ესკიზები წინასწარ ჰქონდა გაგზავნილი და ფინალში გავიდა. ნადეჟდა ლამანოვას სახელობის ამ კონკურსზე ნინოს 2 სპეციალური პრიზი მიაკუთვნეს: პირველი – 4 ათასი რუსული მანეთი ძვირფასი ქსოვილების შესაძენად გამოიყენა, მეორე პრიზი ქსოვილების ცნობილი ფირმის იყო და ძვირფასი შალის ქსოვილით დააჯილდოვეს.

რუსული მოდის მამად აღიარებულმა სლავა ზაიცევმა ნინოს შემოქმედებას სპეციალური რეცენზია მიუძღვნა: „ბედნიერი ვარ, რომ მქონდა საშუალება გავცნობოდი გასაოცარი, რაფინირებული და მაღალპროფესიონალი მხატვარი ქალის შემოქმედებას, რომელმაც მომაჯადოვა საოცარ ფერთა კომბინაციით, იუველური ოსტატობით, ტანსაცმლისა და აქსესუარების სახეობათა უსასრულო ფანტაზიით. მადლობა საქართველოს, რომ მუდამ გვახარებს ხელოვნებისა და მოდის სამყაროში მომუშავე ნიჭიერი ადამიანებით.“

... ნინოს სამუშაო ოთახში კვლავ არაჩვეულებრივი განწყობაა. კედელზე კვლავ დაკიდულია კოსტიუმები, კაბები, ქუდები, ჩანთები, ქოლგები, ფეხსაცმელები... რასაც დაემატა ძველებური ხალიჩა და ძველებური აკვანი...

ნინო არაჩვეულებრივია ყველგან და ყველაფერში. როცა ბინას ალაგებს, მოდელზე ფიქრობს, როცა სადილს ამზადებს და ხახვს თლის, მაშინაც ფურცლების ფორმას აკვირდება. ქუჩაში მიდის და ფეხს აუჩქარებს, თუ ვინმეს ჩაცმულობა მოეწონება, ან საინტერესო დეტალი შენიშნა, ტრანსპორტშია და ისევ ტანისამოსის ხაზებს, ფერებს, აქსესუარებს აკვირდება... მოდაზე და ჩაცმულობაზე საუბრისას



● ტექსტილის საერთაშორისო კომპანია „ვულკანის“ პრეზიდენტი აკუდია სინგაი პრიზს გადასცემს ნინო გოგიბერიძეს, მარცხნივ სლავა ზაიცევი

ამბობს, რომ ქართველებს გემოვნებით ჩაცმის მოთხოვნილება და კულტურა აქვთ, მაგრამ ხანდახან კრიტიკის თვალითაც უყურებს.

არც იმას მალავს, რომ ეთანხმება გერმანელი კუბერას რეზიუმეს: ქართველი დიზაინერების ნამუშევრების დონე და ხარისხი უმაღლესიაო. მაგრამ თვლის, რომ ეს შეფასება მას არ ეხება, თვითკმაყოფილებას არასდროს განიცდის და სულ ჰგონია, რომ მის ნამუშევრებს რაღაც აკლია, რაღაც გასასწორებელია, რაღაც მოსაფიქრებელი...

სწორედ ამაშია მისი წარმატებების საიდუმლო.

ლია კაკაბაძე

P.S. მაისის თვეში მოეწყობა ნინო გოგიბერიძის მოდელების პერსონალური გამოფენა-გაყიდვა, სადაც წარმოდგენილი იქნება ძველი ნამუშევრებიც და ტანსაცმლის ახალი საზაფხულო კოლექციაც.

*ნინო გოგიბერიძის შემოქმედება იხილეთ*
*პირველ და მეოთხე გვერდებზე*

# ქალი – სიკეთე...



ლამარა ცუცქირიძე

ღმერთმა ადამიანი სიკეთისათვის და სიყვარულისთვის შექმნა, – მითხრა მშვენიერმა ქალბატონმა, რომლის დამსახურების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ არც ჩამოუთვლელობა იქნება:

ესპერანტოს კლუბის „ფლორის" დამაარსებელი და შეუცვლელი ხელმძღვანელი, ექიმი-კოსმეტოლოგი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, „ქალთა გაზეთის" კონსულტანტი, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, საერთაშორისო კონფერენციებისა და კონკურსების აქტიური მონაწილე, საერთაშორისო ფესტივალებისა და სამშვიდობო ფორუმებში მრავალგზის გამარჯვებული, – ეს არასრული ჩამონათვალი ქალბატონ ლამარა ცუცქირიძის ცხოვრების ერთგვარი საფეხურებია.

– ერთი დღე არ გამიტარებია უნაყოფოდ და უქმად. მაქსიმალურად ვცდილობ, ჩემი ენერგია და შესაძლებლობები ადამიანების სამსახურში დავხარჯო, – ამბობს ქ-ნი ლამარა, რომელიც სიკეთეს უშურველად გასცემს, სანაცვლოდ კი ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას იმკის. ამაზე ის უამრავი ჩანაწერი მეტყველებს, ძვირფასი განძივით რომ ინახავს და უფრთხილდება:

„მადლობა კეთილი გულისათვის და მშვენიერი სულისათვის, თქვენ რომ გაქვთ და გამშვენებთ..."

„გმადლობთ თქვენი დაუღალავი შრომის, სიკეთისა და სიყვარულისათვის."

„ბედნიერებაა თქვენისთანა ადამიანების არსებობა..."

„თქვენ დაუბრუნეთ ჩემს სულს სიმშვიდე..."

„სამყარო ქალბატონ ლამარასნაირი ადამიანების წყალობით ბრუნავს და არსებობს..."

... ალექსანდრე ცუცქირიძის და ნუნუ კლდიაშვილის ქართულ ტრადიციულ ოჯახში, სიყვარულის, ურთიერთგაგებისა და სიკეთის გარემოცვაში სამი შვილი იზრდებოდა.

– ჩემმა ბავშვობამ ლამაზი სიზმარივით გაირბინა. ჩვენს ოჯახში ქართული ინტელიგენციის ნაღები იკრიბებოდა. ხშირად გვსტუმრობდნენ მამის მეგობრები – ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, მარიკა ბარათაშვილი, სიმონ წვერავა... დედა არაჩვეულებრივად უკრავდა და მღეროდა. ქართული სიმღერის, ცეკვის და ლექსის ხიბლი სწორედ მისგან შევისისხლხორცე და შევიყვარე...

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ ცეკვით შემოიარა რუსეთის დიდი ქალაქები, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გატარებულ წლებს კი განსაკუთრებული სითბოთი იხსენებს.

იმხანად „გეპეის" კვარტეტი და ჯაზი, რომ იტყვიან, ქუხდა. ბედნიერება მხვდა წილად, ედუარდ სეფაშვილის კვარტეტშიც ვმღეროდი და სოსო ტუღუშის ორკესტრის სოლისტიც გახლდით.

***– კოსმეტოლოგიით როდის დაინტერესდით?***

– ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლენინგრადში დერმატოლოგიური კურსები დავამთავრე, მოგვიანებით რიგაში კვალიფიკაციაც ავიმაღლე.

ქალი, სილამაზე და სიყვარული განუყოფელი ცნებებია.

განა ბედნიერება არ არის, როცა ადამიანს არასრულფასოვნების კომპლექსს მოუხსნი და ცხოვრების ხალისს დაუბრუნებ...

ქ-ნი ლამარა მრავალი წელია სილამაზეს ემსახურება და ამდენად, კარგად იცის მისი ფასი. როგორც თავად ამბობს, კოსმეტიკა სახის, სხეულის მოვლის ჰიგიენაა, რაც ცხოვრების სწორი რეჟიმის გარეშე არ მიიღწევა აქვე გთავაზობთ ქ-ნ ლამარას რჩევას:

– ვერანაირი ნიღაბი, მასაჟი თუ კრემი ვერ გიშველით, თუ ცხვირჩამოშვებული ივლით. რაც შეიძლება ბევრი იცინეთ, იმღერეთ, იღიღინეთ. შეარჩიეთ მხიარული და თქვენთვის სასიამოვნო საზოგადოება და მუდამ თესეთ სიკეთე...

ერთი სიტყვით, იყავით ხალისიანი და ლაღი და შედეგიც არ დააყოვნებს...

– არასოდეს არ ვმხელ ჩემს ასაკს. ბალზაკის ქალებივით ოცი წლით ახალგაზრდულად გამოვიყურები, – იღიმება ქ-ნი ლამარა.

***– როგორც ვიცი, მიწვევები გაქვთ ამერიკიდან, ისრაელიდან და საბერძნეთიდან...***

– არაჩვეულებრივ სამუშაო პირობებს და დიდ ანაზღაურებას მპირდებიან, მაგრამ ერთი წუთითაც არ მიფიქრია საქართველოს დატოვება. ჩემთვის სიმდიდრეს არანაირი ფასი არა აქვს.

ფულისათვის როგორ დავტოვო საქართველო, დედ-მამის საფლავი, შვილები, შვილიშვილები.

ქუჩაში რომ გამოვალ და ყოველ ნაბიჯზე ნაცნობ-მეგობრები შემომღიმიან, ამაზე ბედნიერება რა არის...

და მაინც, ქ-ნი ლამარა თავის ძირითად და უპირველეს საქმიანობად

პედაგოგიურ მოღვაწეობას მიიჩნევს.

ყველაფერი კი ასე დაიწყო...

ესპერანტოს შემსწავლელი ორწლიანი კურსების დამთავრების შემდეგ ქ-ნმა ლამარამ ნაძალადევის მოსწავლეთა სახლში ესპერანტოს წრე გახსნა, სადაც თავდაპირველად შვიდი მოსწავლე გაერთიანდა. ორი თვის შემდეგ მათი რიცხვი ოთხმოცამდე გაიზარდა, რამაც ლამარა ცუცქირიძეს საშუალება მისცა ესპერანტოს კლუბი – „ფლორო“ დაეარსებინა.

დღეისათვის კლუბში 70-მდე ბავშვი ეუფლება ესპერანტოს – მეგობრობისა და მშვიდობის ენას.

„ფლოროს“ შინაარსიანი პროგრამის გარდა, საკუთარი ჰიმნიც აქვს, რომელიც ქ-ნ ლამარას თხოვნით პოეტ მაზმიშვილის ლექსზე კომპოზიტორმა ჯ. ადამაშვილმა შექმნა.

– ჩემთვის ბედნიერებაა ბავშვებთან ურთიერთობა, ჩემმა აღსაზრდელებმა ცოდნითა და შემოქმედებით ბევრჯერ გამახარეს. მათთან ერთად შემოვიარე ერევანი, ტარტუ, ტალინი, ვილნიუსი, მოსკოვი, კიევი. ვმონაწილეობდით ბულგარეთის მეექვსე საერთაშორისო და უნგრეთის მეთერთმეტე მსოფლიო კონფერენციებში. დიდი წარმატებები მოგვიტანა ვარშავაში გამართულ ესპერანტისტთა კონგრესში მონაწილეობამ.

„ჩემი ვარსკვლავები“ – ასე უწოდებს ქ-ნი ლამარა თავის მოსწავლეებს, რომლებსაც ქვეყნის სიყვარულსაც უნერგავს და სიკეთის გაკვეთილებსაც უტარებს.

ხშირად სტუმრობენ მოხუცებულთა თავშესაფარს „სავანეს“ და მიუსაფარ ადამიანებს შეძლებისდაგვარად ულამაზებენ უფერულ ყოფას.

ინგლისში შექმნილი საქართველოს დახმარების ფონდის საშუალებით „ფლოროს“ წევრები ინგლისელ თანატოლებთან მეგობრობენ. მათგან ლამაზად შეფუთული საჩუქრები და ბარათები მიიღეს.

ბავშვებთან დიდი სიახლოვის მიუხედავად, ქ-ნი ლამარა ზომიერების ზღვარს არასოდეს გადადის.

პატივისცემით ეპყრობა თითოეულ მოსწავლეს და იგივეს ითხოვს მისგან. ერთ-ერთ მოსწავლეს დაუჩივლია, ჩვენი მასწავლებელი სულ გვირტყამს და გვლანძღავსო.

პრობლემა თავისებურად მოაგვარა ქ-ნმა ლამარამ. სკოლაში ყვავილებითა და „ბამბანერკით“ ხელდამშვენებული ესტუმრა კაპას პედაგოგს და დიდი მადლობა გადაუხადა უანგარო ნაყოფიერი შრომისათვის.

– უნდა გენახათ მისი გაოცებული სახე, – ღიმილით იხსენებს ქ-ნი ლამარა. – როგორც მითხრეს, იმ დღიდან მოსწავლისათვის თითი არ დაუკარებია და ხმამაღალი სიტყვაც არ უთქვამს...



ლამარა ცუცქირიძე „ფლოროს“ წევრებთან



ინგლისის საელჩოს წარმომადგენელი ჯონ კორლეტი სტუმრად „ფლოროში“

რამდენიმე წელია ეს სიცოცხლით სავსე ქალბატონი ზაფხულობით ბორჯომში ისვენებს. თუმცა დასვენება ამჯერად პირობითი სიტყვაა. იქაც შემოიკრიბა გოგო-ბიჭები და ჩვეული გულმოდგინებით ასწავლის ესპერანტოს, ცეკვასა და სიმღერას.

– ღმერთო, მომეცი, რათა გავცე, – ასე ლოცულობს ადამიანი, რომელიც მართლაც სიკეთეს თესავს: ხან ომის ვეტერანებს ეხმარება, ხან აფხაზეთიდან დევნილებს, ხანაც პატიმარ ქალებს.

– ცხოვრების მანძილზე კარგიც ბევრი მინახავს და ავიც. გული ხშირად დარდით მქონია დამძიმებული, მაგრამ ჩემი გასაჭირი სხვისთვის თავზე არასოდეს მომიხვევია.

ღმერთმა ამ ქვეყნად უდიდესი სიყვარული მარგუნა წილად. ოცი წელი უბედნიერესი ქალი ვიყავი, ღირსეული მეუღლე მყავდა... თუმცა ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ ჩემში ყველაზე დიდი სიყვარული ღმერთისადმი სიყვარულია, უშრეტი ენერგიით რომ მავსებს და გაჭირვებულთა დახმარების საშუალებას გაძლევს.

ღმერთის სიყვარულით გავზარდე ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი, – მითხრა საუბრის ბოლოს ჩემმა მშვენიერმა მასპინძელმა.

ქ-ნ ლამარას ოთახში უამრავი ხატია, ძირითადად ნაჩუქარი. მიწისძვრის დროს ბინა საგრძნობლად დაუზიანდა, ხატებით მოფენილ კედელზე კი ერთი ბზარიც არ გაჩენილა...

– განა ეს სასწაული არ არის!... გვიყვარდეს ერთმანეთი და ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება. ჩვენს ქვეყანას სიყვარული, ურთიერთმიმტევებლობა და სიკეთე გადაარჩენს, – პირჯვარი გადაიწერა ქ-ნმა ლამარამ.

**მარინე ნაკაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭადრაკის ფიგურების იდუმალ სამყაროში



ნომრის სტუმარია მოჭადრაკე
**ნინო ხურციძე;**

ორგზის მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის;

ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის;

სამგზის მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი;

საქართველოს ოლიმპიადების ბრინჯაოს და ვერცხლის მედლის მფლობელი (გუნდურ ჩათვლაში) და ოქროს მედლის მფლობელი (პირად ჩათვლაში);

საერთაშორისო ოსტატი ვაჟთა შორის;
საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა შორის;

ნიჭი არ იკარგება. ამას XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენი მოჭადრაკე ქალების წარმატებები ადასტურებს, რაც დღესაც ბევრი დიდი ქვეყნისთვის მიუღწევლად რჩება. ახლა უკვე ისტორიის კუთვნილებაა ნონა გაფრინდაშვილის მსოფლიო ჩემპიონობა, რომელმაც კიდევ ორხჯერ დაიცვა თავისი ტიტული, შემდეგ კი ესტაფეტა მაია ჩიბურდანიძემ გადაიბარა. გვახარებდა ნინო გურიელის, ნანა ალექსანდრიას და ნანა იოსელიანის წარმატებები. და აღარ უკვირდათ, რომ ქართველ ქალებს მზითევში „ვეფხისტყაოსანთან" ერთად ჭადრაკიც მიჰქონდათ.

დრო შეიცვალა, ქართულ საჭადრაკო სამყაროში ახალი თაობა გამოჩნდა. საერთაშორისო დიდოსტატი ნინო ხურციძე თავს ძველი სკოლის წარმომადგენლად არ თვლის. დღეს მას მეტად პერსპექტიულ მოთამაშედ მიიჩნევენ. „ჩვენ უფრო ცუდ დროში მოგვიწია მოღვაწეობა. პირობები აშკარად გაუარესდა, რამაც გამოიწვია გარკვეული კრიზისი", – ყვება საუბარში ნინო. მისი აზრით, თუ ხელშემწყობი გარემო – მწვრთნელებთან სისტემატური მუშაობა, ტურნირების აუცილებელი მინიმუმი არაა, – ძნელია წარმატების მიღწევა, განსაკუთრებით ახლა, ამ სწრაფად განვითარებად სამყაროში, როდესაც საჭადრაკო დონემ ქალთა ჭადრაკში მკვეთრად აიწია, რომ არაფერი ვთქვათ ვაჟებზე. ამ ზრდას კი ფეხდაფეხ თუ არ მიჰყვები, ელიტაში ადგილის შენარჩუნება ძნელია.

საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ელგუჯა ფხაკაძემ, ნინოს ბიძამ ჯერ კიდევ მცირეწლოვან გოგონაში შენიშნა ნიჭი. მას შემდეგ აცნობდა ჭადრაკის ფიგურათა იდუმალ სამყაროს. ოჯახში დღემდე იხსენებენ, თუ როგორ მოუწყო ბიძამ პატარა ნინოს გამოცდა, როდესაც არასწორი სვლა გააკეთა. ამას ბავშვისგან შეწინააღმდეგება მოჰყვა, რაც დიდ ნებისყოფაზე და გამბედაობაზე მიანიშნებდა. სწორედ ბიძის რჩევით მოხვდა ნინო პიონერთა სასახლის საჭადრაკო წრეში. როგორც თვითონ იხსენებს, ფიგურებსაც სცნობდა და მათი სვლის ტექნიკაშიც ერკვეოდა. ეს დასაწყისი იყო. სულ ვაჟებთან თამაშობდა. ერთ წელიწადში 1 თანრიგი მიიღო. 10-11 წლისა კი უკვე ოსტატობის კანდიდატი იყო. კიდევ ორ წელიწადში ოსტატი და საქართველოს ჩემპიონი გახდა.

მოჭადრაკის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დონის ჩემპიონატებია. 1991-92 წლებში ნინო ხურციძემ ორჯერ დაიკავა პირველი ადგილი – ჯერ 16 წლამდე გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონატზე, შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე იუნიორთა შორის. თუმცა ნინოსთვის ნებისმიერი მოგებული ტურნირი და პარტია დიდი სიხარულის მომგვრელია. თუნდაც ბოლო წარმატებული ტურნირი, სადაც მოჭადრაკე ქეთინო კახიანთან გუნდურ თამაშში გერმანიის საკლუბო ჩემპიონობა მოიპოვა.

ნინო ხურციძისათვის ცხოვრების მიზანი ჭადრაკია. საკუთარ თავზე მუშაობას დიდ დროს ანდომებს. რა თქმა უნდა, ოჯახისგანაც მორალური და მატერიალური ხელშეწყობა აქვს. ნინო თვლის, რომ დღეს თუ გვერდზე ვინმე არ გიდგას და არ გეხმარება, შეუძლებელია საჭადრაკო კარიერის გაგრძელება. ადრე ეს პრობლემა ასე მწვავედ არ იდგა. სახელმწიფო ზრუნავდა ყველაფერზე. მიუხედავად სიძნელეებისა, ნინოს საქართველოს სახელით თამაში ურჩევნია. თვლის, რომ ქვეყანაში მდგომარეობა გამოსწორდება. დიდად აფასებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ნინო გურიელის მზრუნველობას. თანაც მიიჩნევს, რომ დღეს ქვეყნის ხელისუფლების მხარდაჭერით ჭადრაკში გამოცოცხლება იგრძნობა. 2000 წელს ნინო ხურციძემ ჭადრაკის ფედერაციის წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტის გრანტი მიიღო. დიდი პატივი და სიხარულია ქართველი მოჭადრაკისთვის ღირსების ორდენიც, რომლითაც სტამბულის ოლიმპიადაზე წარმატებების შემდეგ დაჯილდოვდა.

მალე დაიწყება სხვადასხვა დონის საერთაშორისო შეჯიბრებები, რომელთა მიზანია ევროპის წლევანდელი და მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მონაწილეთა შერჩევა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს წამყვანი მოჭადრაკეების „რეიტინგ-ლისტში" საერთაშორისო დიდოსტატს ქალთა შორის და საერთაშორისო ოსტატს ვაჟთა შორის ნინო ხურციძეს (რეიტინგით 2427) 24-ე ადგილი უკავია. იგი თავისი მიღწევებით მამაკაცებთან ერთად მოიხსენიება და ამ პატივით დაჯილდოებულ ქალთა სამეულშია.



ბუნებრივია კითხვა: ჭადრაკის გარდა რითაა დაკავებული? ნინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, თუმცა დღეს ჟურნალისტიკასთან ნაკლები შეხება აქვს, უფრო მეტად თვითონ იძლევა ინტერვიუებს.

ნინო მადლიერებით იხსენებს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის როინ მეტრეველის თანადგომას. 20 წლამდე ასაკის გოგონებს შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ მთელი ექვსი თვე არცერთ ტურნირში არ მიუღია მონაწილეობა და უკვე ჭადრაკზე გულსაც აიცრუებდა, რომ არა ბატონი როინის ჩარევა და გულისხმიერი თანადგომა. სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოჭადრაკეს ჰოლანდიის ტურნირი დაუფინანსა. ნინო დღესაც აგრძელებს უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლას, რაც უფრო იზიდავს და აინტერესებს: თუ შევძლებ ამ საქმეში პროფესიონალი გავხდე, მაშინ ჩემს სწავლას აზრი ჰქონიაო. ორჯერ მიყოლებით 1994-96 წლებში საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მოჭადრაკეთა გუნდი ნინოს მონაწილეობით მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ჰობი, შეიძლება ითქვას, არ აქვს. თუმცა ადრე კალმებს აგროვებდა, შემდეგ თავი დაანება. თავისუფალ დროს უყვარს კითხვა. საკაბელო არხებით ჩოგბურთისა და კალათბურთის ყურება (ცხადია, როცა შუქია...) უყვარს მაგიდის ჩოგბურთი, თუმცა ფიზიკურ ვარჯიშს ნაკლებ დროს უთმობს. ნინო ხურციძისთვის მხოლოდ ერთი სპორტი არსებობს – ჭადრაკი. აქ იგი იდუმალი ფიგურების სამყაროშია.

**თამარ ნინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელოვან წინაპართა შთამომავალი



ია მშვენიერაძე საბაზრო ეკონომიკის სათავეებთან მდგომ ქალთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია, რომლის ცხოვრება შეიძლება ორსახოვნად წარმოვიდგინოთ-სახელოვან წინაპართა შთამომავალი და საბაზრო სამყაროში საუკეთესოთა შორის გამორჩეული.

**– ქ**ალბატონო ია, თქვენი ოჯახი დიდი ტრადიციებითაა განთქმული, მოგვიყევით ბაბუის, სამსონ ინასარიძის შესახებ?

– ბაბუა დედის მხრიდან, სამსონ ინასარიძე მაშინდელი მოწინავე მწერლებისა და გამომცემლების გვერდით ტრიალებდა. ცნობილი გიგო ჩარკვიანის წიგნების მაღაზიის – ქართული კლუბის წევრიც იყო, სადაც იკრიბებოდნენ რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, იოსებ ბაქრაძე, ლადო აღნიაშვილი, ალექსანდრე ჯაბადარი და სხვები.

ამ ახალგაზრდების წრემ 1883 წელს თბილისში დააარსა ჟურნალი „ნობათი", რომელმაც შემდეგ საფუძველი ჩაუყარა გამომცემლების დიდ ამხანაგობას – „ქართველთა ამხანაგობას". მათ იკისრეს ცნობილი მწერლებისა და პოეტების სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული ნაწერების შეგროვება და გამოცემა.

მაშინ დაიბეჭდა პირველად რაფიელ ერისთავისა და აკაკი წერეთლის პოეზია წიგნებად, ილია ჭავჭავაძის პოეზია და მოთხრობები, ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებები.

ბაბუას, სამსონ ინასარიძეს შვილებისათვის კარგი განათლება მიუცია. დედაჩემმა, ნინო ინასარიძემ თბილისის ქალთა გიმნაზია დაამთავრა და მალევე გათხოვდა მამაჩემზე, ბაგრატ მშვენიერაძეზე.

მამაჩემი პირველი ეკონომისტი იყო ზესტაფონში და წლების მანძილზე ამავე რაიონის ბანკის მმართველი. ახლა ის 99 წლისაა. ჩემს მშობლებს ოთხი შვილი ვყავდით და ოთხივეს უმაღლესი განათლება მიგვაღებინეს. ამჟამად მთელი ოჯახი ბაბუის დანატოვარ დიდ, კერძო სახლში ვცხოვრობთ. ზესტაფონშიც, სოფელ საღვინეში, მამის სახლი გვაქვს, საუცხოო ხეხილით, ვენახითა და ყვავილნარით.

მე დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი. ვმუშაობდი თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში ინჟინერ-ტექნოლოგად. მიცნობდნენ, როგორც წარმატებულ სპეციალისტს და ალბათ, ამან განაპირობა, რომ 1975 წელს, როცა ხელისუფლების სათავეში ედუარდ შევარდნაძე მოვიდა, პასუხსაგებ თანამდებობებზე ქალები დაინიშნენ. მე პირველი მასის რაიონის დიღმის საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორად გამიშვეს. ოთხი თვე ვწელავდი, ვერ ვწყვეტდი ბაზარში წასვლას, მაგრამ ბრძანება შეუვალი იყო.

***– თქვენი მეგობრები და ახლობლები ჰყვებიან, როგორ მოუარეთ დაავადებულ დედას და ახლა ღრმადმოხუცებულ მამას ცივ ნიავს არ აკარებთ.***

– ყველა შვილი ვალდებულია, საკუთარ დედ-მამას მიხედოს და უპატრონოს. 15 წელი ლოგინად ჩავარდნილ დედას ვუვლიდი. მამა 100 წელსაა მიტანებული, მხნედაა და არც მე და ჩემი დედმამიშვილები ვაკლებთ მზრუნველობასა და პატივისცემას, გვინდა ტკბილი სიბერე ჰქონდეს.

***– გადავიდეთ თქვენს სამსახურზე. როგორი იყო მაშინდელი ბაზარი და რით დაიწყეთ?***

– პირველი, რაც გავაკეთე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაუსწრებელ განყოფილებაზე შევედი, ვაჭრობის ეკონომიკის განხრით. არ იფიქროთ, მოვალეობისთვის ვისწავლე. ზერელედ საქმის კეთება არ მიყვარს, საფუძვლიანად დავეუფლე ეკონომიკას.

ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ არ გამიჭირდა ბაზრის გაძღოლა. მაშინ დიღმის ბაზარი 150 სავაჭრო ადგილით იყო დაკომპლექტებული და მთლიანად გლეხებით ივსებოდა. საწვავი იაფი იყო და წასვლა-მოსვლა არავის უჭირდა. ხვავი და ბარაქა ტრიალებდა, მყიდველიც ბევრი გვყავდა. მთავარი – გეგმის გადაჭარბებით შესრულება იყო...

***– საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლით რა სახე მიიღო ბაზარმა?***

– ჩვენმა ორგანიზაციამ შეიცვალა სამართლებლივი სტატუსი და ახლა მოვიხსენიებთ, როგორც შპს „დიღომი XXI საუკუნე" იჯარა-გამოსყიდვის ათწლიანი ვადით. დასაქმებულია 17 მუშაკი, მე დირექტორი გახლავართ.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბაზარს უკავია დიდი ტერიტორია, დაგეგმილია 150 სავაჭრო ადგილზე, მაგრამ ახლა მესამედითაც აღარ იტვირთება, მხოლოდ 50 გამყიდველი ვაჭრობს. ეს გამოიწვია გარე ვაჭრობამ. ბაზრის შემოგარენი სავსეა პროდუქტებით. ზოგჯერ მყიდველი შიგნით აღარ შემოდის.

***– ძირითადად რა სახის პროდუქტების შეძენა შეიძლება თქვენთან?***

– გვაქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ხორცისა და რძის ნაწარმი. გარდა ამისა, ქალაქის ბაზრებისაგან განსხვავებით, ეგზოტიკური – ცოცხალი ცხოველები და ნაირნაირ ფრინველებსაც ვყიდით. კვირაობით ბავშვებს მოუხარიათ მოსვლა სანახავადაც და საყიდლადაც.

***– გაყიდვაში თუ გქონიათ ინდოეთიდან შემოტანილი ხორცი ან დაავადებული ქათმის ბარკლები?***

– თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კვალიფიციურ ვეტექიმებით დაკომპლექტებულ ვეტლაბორატორიასთან ერთად, მკაცრი კონტროლი მაქვს დაწესებული ვარგისიანი პროდუქციის რეალიზებაზე. ჩვენთან იყიდება ეკოლოგიურად სუფთა ხორცი და რძის ნაწარმი. რაც შეეხება უცხოეთიდან შემოტანილ ბარკლებსა და ქათმებს, მათი გაყიდვა, სერთიფიკაციის გარეშე არ ხდება. ინდოეთის ხორცი ბაზარში არც ყოფილა და არც გაყიდულა.

დაავადებულ ხორცს ვერავინ შემოგვაპარებს, მისი შემოწმება მიკროსკოპითაც ხდება...

***– ძირითადად ვინ ვაჭრობს თქვენთან?***

– ადრე დიდუბის რაიონში მხოლოდ ორი ბაზარი იყო. დიდი (ე.წ. დეზერტირის) და დიღმის. ახლა 20 ბაზარია. ჩვენთან ძირითადად ვაჭრობენ სოფელ დიღმის, მცხეთის, ჭიათურის, საჩხერის, ზესტაფონის რაიონების და თვითონ დიღმის მასივის მცხოვრებლები, რომლებიც მცირე ბიზნესს აწარმოებენ.

***– მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თუ შემოგრჩათ?***

– 90-იან წლებში, როცა ქვეყანამ საბაზრო სტრუქტურაზე გადასვლა დაიწყო, ჯერ კიდევ იაფად იშოვებოდა ბაზრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისთვის საჭირო ინვენტარი, მაშინ დიდი რაოდენობით მოვიმარაგეთ სასწორები, გირები, თეთრი ხალათები, სინები.

***– ამბობენ, სასტუმროს აშენებას აპირებთ?***

– ბაზარს დიდი ტერიტორია აქვს, ვფიქრობთ ავაშენოთ დაბალფასიანი სასტუმრო. როცა გლეხს ბევრი პროდუქტი ექნება ჩამოტანილი და ვერ მოასწრებს ერთ დღეში რეალიზებას, ღამე ბაზრის სასტუმროში შეუძლია გაათიოს.

***– ყველა ქვეყანაში ქველმოქმედება ღირსეული საქმეა, თქვენ თუ ეხმარებით გაჭირვებულებს?***

– დღევანდელ საქართველოში, სადაც ამდენი უფულო და უმუშევარია, მარტო საკუთარ თავზე არ უნდა იზრუნო. რითაც შეგეძლება, უნდა დაეხმარო ადამიანებს. დიდუბის რაიონის გამგეობასთან ერთად, ვეხმარებით მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, პენსიონერებს. გარდა ამისა, ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანე ზესტაფონის რაიონის სოფელ საღვინეში ეკლესიის მშენებლობაში და ასევე ჩემი მშობლიური შორაპნის რკინიგზის საშუალო სკოლის აღდგენით სამუშაოებში.

* * *

როგორია ჟურნალისტის თვალით დანახული ია მშვენიერაძე – ღირსეული ქალბატონი საბაზრო ეკონომიკის სათავეებთან?! ის შეუცდომლად გაუძღვა ბაზრის რთულ და სარისკო საქმეს. ზოგიერთი ადამიანი გაკეთებულ სიკეთეზე საზოგადოების თვალში ქულებს იწერს, ია მშვენიერაძეს კი ამის გამომზეურება არ უყვარს. მაგრამ მისი კოლეგები და მეგობრები ამბობენ, რომ ქალბატონ იას არავისთვის დაუშურებია არც მატერიალური და არც სულიერი თანადგომა.

ირმა ჩოფიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯილდო პრინცმა ფილიპმა გადასცა

● სოფო გორგოძე და საქართველოს ელჩი ინგლისში თემურ მამაცაშვილი





● სტუმრად ქალაქ კოლჩესტერის მერთან – საპატიო სტუმრების წიგნში სოფომ თავისი გვარიც შეიტანა

2002 ნლის 5 ღეჯემბეის ბუჯინგემის სასახლეში ოიატოიუე ხელოვნებაში გამაიჯვებულთა ტიაღიციული ყოველნლიუხი ცეიემონიალი გაიმაითა. პიივეli აღგილისათვის ღანესებული უმალესი ჯილდო 32 ქვეყნის 53 ნაჰმომაღგენელთაგან ინგლისუიაღ მოლაპაიაკე ქაითველ ქალიშვილს, თბილისის სახელმნიფო უნივეისიტეტის მაგისტიანტს, 20 ნლის სოფო გოიგოძეს უნდა გაღასცემოდა. ოიატოიული ხელოვნების საეითაშოიისო კონკუისში გამაიჯვებულ სოფოს „ინგლისუიაღ მოლაპაიაკეთა კავშიის" პიეზიღენტი პიინცი ფილიპი ელოდა. სოფოს ტაშით შეხვდნენ. ქაითული ხიბლი მიაცილებდა პიინცისკენ. ღეღოფლის მეუღლემ ღელიკატუიაღ გაუნოდა ჯილდო. დაინტეიესდა: „სად ისნავლეთ ასეთი კაიგი ინგლისუიი, ლონდონში ხომ აია? აჰ, საქაითველოში?!"

... „ინგლისუიაღ მოლაპაიაკეთა კავშიიი" ინგლისელმა ჟუინალისტმა ევლინ ჩენჩმა და მისმა მეგობიებმა 1918 ნელს ინგლისუიენოვანთა შოიის უითიეითობის გასაღიმავებლაღ დააისეს. თავის დიოზე ამ კავშიის პიეზიღენტი უინსტონ ჩეიჩილი გახლდათ. დღეს კავშიის დედოფალი ელისაბედ II მფაიველობს. მისი მეუღლე პიინცი ფილიპი პიეზიღენტია, დიდი ბიიტანეთის პიემიეი-მინისტიი ტონი ბლეიი – ვიცე-პიეზიღენტი.

* * *

ბუკინგემის სასახლეში მოხვედრა შორი გზიდან დაიწყო... ერთ დღეს ლექციიდან გამოსულმა თვალი განცხადებას მოჰკრა. „ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირის" საქართველოს ფილიალი 16-20 წლის ახალგაზრდებისათვის ინგლისურ ენაზე მოსაუბრეთა კონკურსის შესახებ იტყობინებოდა.

წაიკითხა და წავიდა. იმ დღეს არც არაფერი გახსენებია, მეორე დღეს გაიფიქრა, ხომ არ ვცადოო. მერე რა, რომ სკოლა სოფელ დიმში დაამთავრა, სამაგიეროდ ქუთაისის უნივერსიტეტში შესასვლელად ნინო ნიჟარაძემ ინგლისურში კარგად მოამზადა. გამოცდა ფრიადზე ჩააბარა. ინგლისური ენის კათედრის გამგე მადონა მეგრელიშვილი თითოეულ სტუდენტს თან ჰყვებოდა, რომ საფუძვლიანი ცოდნა მიეღოთ. სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა. აქ შანსი მიეცა 2000-2001 წლებში ამერიკაში, მისურის შტატის ქალაქ ფულტონში ესწავლა. ახლა თბილისშია და მაგისტრატურის პირველკურსელს კარგ შეფასებას აძლევენ, „ენდოს შემფასებლებს? თუ საკუთარ ხმას დაუგდოს ყური?.. გავრისკავ".

პირველი ნაცნობობა ქალბატონ მარინა ციციშვილთან მაშინ შედგა, როცა კონკურსში მონაწილეობა მტკიცედ გადაწყვიტა. გაცნობისთანავე მისი მოღვაწეობით მოიხიბლა. 12 წელი ქალბატონმა მარინამ ოჯახთან ერთად ლონდონში გაატარა. როგორც ინგლისური ენის სპეციალისტი იქაურ მოწინავე საზოგადოებას დაუახლოვდა.

დიდ ბრიტანეთში „ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირის" გენერალური დირექტორი ბარონესა ბრისტოკის ტიტულის მფლობელი ლედი ვალერი მიტჩელი გახლდათ. სწორედ მან ურჩია ქალბატონ მარინას საქართველოში ამ კავშირის ფილიალის დაარსება, რაც 1998 წელს განხორციელდა და რომლის წარმმართველი ცენტრიც დიდ ბრიტანეთშია.

„ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირი" როგორც დამოუკიდებელი, არაპოლიტიკური, საგანმანათლებლო ორგანიზაცია მსოფლიოს 44 ქვეყან.ს (უმეტესად არაინგლისურენოვანს) აერთიანებს. ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან კავშირში აშშ, ინგლისი და ავსტრალია ლიდერობენ. ისინი, გარდა იმისა, რომ ინგლისურად მოლაპარაკეთა ყოველწლიურ კონკურსებს ატარებენ, საგანმანათლებლო და კულტურულ პროგრამებს ქველმოქმედებენ: ყოველ წელს ოქსფორდში იმართება კულტურის სემინარები მასწავლებლებისათვის, ლექტორებისათვის, ხელოვნებათმცოდნეებისათვის, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის (რა თქმა უნდა, ხარჯების ანაზღაურებით).

და აი, შარშან მარტში, სოფო გორგოძე საქართველოს ფილიალის კონკურსზე 10 გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა. მერე ისინი ინგლისიდან მოწვეულმა ჟიურიმ გამოსცადა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ნანა იამანიძე შეარჩია.

მაისში ისინი ინგლისს ეწვივნენ. კონკურსი 2 ტურად ჩატარდა. პირველ ტურში 8 ფინალისტი გამოვლინდა, მეორე ტურში კი – I, II და III ადგილების მფლობელები. პირველი ადგილი სოფო გორგოძემ დაისაკუთრა და უკან მოიტოვა ინგლისურენოვანი ქვეყნების – ამერიკის, ინგლისის, ავსტრალიის ახალგაზრდები. ეს გამარჯვება სასწაულს ჰგავდა არაინგლისურენოვანი პატარა საქართველოსთვის, რომლის შვილმაც თავისი საუკეთესო ორატორული ხელოვნებით მსოფლიოში პირველობა არავის დაუთმო. სოფოს სასაუბრო თემა ეკონომიკა და ეკოლოგია იყო. მან თემა სხვადასხვა ენაზე გამოცემული ლიტერატურის გამოყენებით დაამუშავა. როცა სცენაზე სასაუბროდ უხმეს, სოფო თავისთავს აღარ ეკუთვნოდა. ის საქართველოს სახელით ლაპარაკობდა, როგორც მისი წარგზავნილი. საუბრობდა აუღელვებლად, დამაჯერებლად იმ საშიშროებაზე, რომელიც დღეს ემუქრება ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებს და მათ შორის საქართველოსაც. მოითხოვდა მათზე ზრუნვას ძლიერი ქვეყნებისაგან. სოფოს თემის სახელწოდება მის შინაარსს ხსნიდა: "მომავალი ნაგვის ყუთების გარეშე" და ძირითადად იმ აზრს ავითარებდა, რომ განუვითარებელი ქვეყნები ეკონომიკურ ზრდას უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე ეკოლოგიას. დიდ პრობლემასაც სწორედ ეს ქმნის.

გაიმარჯვა! იყო მაისი, გაზაფხულის ბოლო თვე. და აიტაცეს მისი სახელი გაზეთებმა, ტელევიზიამ, სოფოს დეკემბრამდე, ბუკინგემის სასახლეში შეხვედრამდე დაემშვიდობნენ...

დეკემბერიც მოვიდა. ათდღიანი ვიზიტით იგი ლონდონში ჯილდოს მისაღებად გაემგზავრა. ჩასვლისთანავე, „ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირის" საშობაო კონცერტში მიიღო მონაწილეობა. გარდა ამისა, მიიწვიეს შუა ატლანტიკური კლუბის შეკრებაზე, სადაც რუსეთის ელჩი გრეგორი კარასინი სიტყვით გამოვიდა. 5 დეკემბერს კი ბუკინგემის სასახლე ელოდა. მასთან ერთად იყვნენ მიწვეული ქალბატონი მარინა ციციშვილი და საქართველოს ელჩი ინგლისში ბატონი თემურ მამაცაშვილი მეუღლით. სასახლეში პრინცმა სოფოს გარდა II- III ადგილებზე გასული გამარჯვებულებიც დააჯილდოვა, მათ შორის უცხოელი მარტო სოფო იყო. დაჯილდოვდნენ აგრეთვე წლის საუკეთესო ლექსიკონების ავტორებიც... მოგვიანებით ეს ლექსიკონები ავტოგრაფებით სოფომ საჩუქრად მიიღო.

მომდევნო შაბათი და კვირა ესექსში, ქალაქ კოლჩესტერში, დევიდ და ჯერალდინ უოტსონების ოჯახში გაატარა. მათმა მასპინძლობამ ქართველების საყოველთაოდ ცნობილი სტუმართმოყვარეობა თითქმის დაჩრდილა. ქალაქის მერმა სოფო ჩაიზე მიიპატიჟა, მერიის შენობა დაათვალიერებინა, ქალაქის ისტორია გააცნო და საპატიო სტუმართა წიგნში ხელი მოაწერინა.

... შინ დაბრუნება და შეხვედრები ამ გამარჯვების შემდეგ ამაღელვებელი იყო, მაგრამ ყველაფერმა ჩაიარა, უნივერსიტეტში სწავლა გრძელდება.

წესის თანახმად, სოფო „ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირის" საქართველოს ფილიალის წევრი გახდა და წელს კიდეც წაიყვანა ინგლისში გასაგზავნ ახალ კანდიდატთა კონკურსი.

მომავლის გეგმებზე თავშეკავებულად საუბრობს. ჯერ მაგისტრატურას დაამთავრებს, მერე კი... მაინც გაგვანდო – აინტერესებს საქართველოში ინგლისურენოვანი საინფორმაციო საშუალებათა განვითარების პერსპექტივები.

ძალების ახალი გამოცდა ელის.

ლია კაკაბაძე

## წელს სახელგანთქმული ფრანგი მოდელიერის უბერებელ მუზას ოდრი ჰეპბერნს დაბადებიდან 73 წელი შეუსრულდებოდა

# ქივანშის მუზა

ოდრი ჰეპბერნის სახელთან დაკავშირებულია წარმოდგენა უზადო გემოვნებაზე. მისი სტილი – ფუფუნებისა და ანცობის შეხამებაა, თავად კი ბრწყინვალე პრინცესა და ჭირვეული მოზარდია ერთ სახეში, კეკლუცი ყაჩაღანა-ლედი. ოდრი ჰეპბერნს ბალერინის გრაცია, მხიარული და ძალდაუტანებელი დახვეწილობა ახასიათებდა. „ლამაზი ნივთები ჩემი სისუსტეა. იმდენად მიყვარს ისინი, რომ ეს უკვე ნაკლად მეთვლება“, – აღიარა ერთხელ ვარსკვლავმა.

და თუკი ლამაზი ტანსაცმლისადმი ლტოლვა მართლა დანაშაულია, მაშინ ოდრის თანამოაზრე ამ საკითხში დახვეწილი იუბერ დე ჟივანში უნდა იყოს. ისინი ბედნიერი შემთხვევის წყალობით შეხვდნენ ერთმანეთს. 1953 წელს ჰეპბერნი თავისი გმირის „საბრინას“ კოსტიუმების შესარჩევად ჩავიდა პარიზში. სცენარის მიხედვით, მძღოლის ქალიშვილი საბრინაც პარიზში ჩადის და ბრწყინვალე მზეთუნახავად გარდაიქმნება, შემდეგ კი ამერიკაში ბრუნდება, რათა მასზე შეყვარებული ორი მილიონერიდან ერთ-ერთს მიანიჭოს უპირატესობა. იმ ხანებში ოდრი, თუ მის სიტყვებს მოვიშველიებთ, „ყველასათვის უცნობი, ერთი გაჩხინკული გოგო“ იყო, – ფილმი „რომაული არდადეგები“, რომელმაც „ოსკარი“ და საქვეყნო სახელ-დიდება მოუტანა, ჯერ არ გადაეღოთ, 26 წლის ჟივანში კი უკვე სახელგანთქმული კუტურიე გახლდათ. როცა კაცს მოახსენეს, „მის ჰეპბერნი“ გელოდებათო, შესაგებებლად გავარდა, რადგან ეგონა ქეთრინ ჰეპბერნი მეწვიაო და რაოდენ გაოცებული დარჩა, როცა კაბინეტში წითელი ბაფთებით მორთულ ჩალის ქუდში, იაფფასიან სელის შარვალსა და ლაკის ფეხსაცმელებში გამოწყობილი თხელი გოგონა დახვდა!

„რამდენადმე იმედგაცრუებული ვიყავი, – იგონებს მრავალი წლის შემდეგ საქმეს ჩამოშორებული კუტურიე, – მაგრამ მაშინვე მომხიბლა მისმა თვალებმა და თავის დაჭერის თავისუფალმა, ღირსეულმა მანერამ“. ამის მიუხედავად, მოდელიერმა მაინც უარი უთხრა ქალიშვილს, სპეციალურად ფილმისთვის შეექმნა კოსტიუმები. ოდრი არ მოეშვა და ჟივანშიმ ნება დართო, რამდენიმე კაბა მოეზომა წინა წლის კოლექციიდან. „მანეკენის აღნაგობა ჰქონდა და მშვენივრად იცოდა, რაც სჭირდებოდა“, – იხსენებს კუტურიე. ოდრიმ საკიდებიდან ტანსაცმლის მთელი გროვა ჩამოხსნა, მათ შორის გასაოცარი შავ-თეთრი საღამოს კაბა, რომლითაც, სიუჟეტის მიხედვით, საბრინა დევიდ ლერაბის ატყვევებს და საბრალო თხუპნიადან მეჯლისის დედოფლად გარდაიქმნება.

ასე დაიწყო მათი მეგობრობა. მას შემდეგ ჟივანში მისი მოდელიერი გახდა ცხოვრებასა და კინოში. ეს გახლდათ არაჩვეულებრივი სტილისტური დუეტი – სუფთა, უბრალო ხაზები და ჟივანშის მოდელების დახვეწილი თავშეკავებულობა იდეალურად შეესაბამებოდა ჰეპბერნის თხელ აღნაგობას, ოდნავ კუთხოვან სილუეტსა და ხაზგასმულ თანამედროვე იერს.

„ჩვენ ერთი გუნდი ვიყავით, – მოკრძალებით აღნიშნავს ჟივანში. – ოდრის თავისი სტილი ჰქონდა, მე კი მხოლოდ ახალ იდეებსა და საშუალებებს ვაწვდიდი ისე, რომ თავს არაფერს ვახვევდი“. ჟივანში აღიარებს, რომ სწორედ ოდრი ჰეპბერნის წყალობით მოიპოვა მისმა სახლმა უზარმაზარი პოპულარობა, მისკენ იყო მიპყრობილი პრესისა და კლიენტების ყურადღება, რომელთაც სურდათ, ოდრი ჰეპბერნს დამსგავსებოდნენ.

მათ უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთის და ეს მარტო მოდასა და სტილს როდი ეხებოდა. ოდრის ხშირად უწევდა ნერვიულობა და მღელვარება გადაღებებისა და საპასუხისმგებლო სხდომების გამო, როცა იგი იუნესკოს ელჩი გახლდათ, მაგრამ ჟივანშის



● ჟივანში და მისი მუზა

ტანსაცმლის წყალობით ყოველთვის მშვიდად გრძნობდა თავს. „შენი კოსტიუმები თითქოს მიცავს, რადგან სპეციალურად ჩემთვისაა შეკერილი“. – ეუბნებოდა ხოლმე მეტრს მსახიობი. ურთიერთობის მრავალი წლის მანძილზე ისინი და-ძმასავით შეეთვისნენ ერთმანეთს, ერთად მოგზაურობდნენ, მისდევდნენ მებაღეობას და ერთმანეთს ყველა საიდუმლოს ანდობდნენ.

ჰეპბერნი ჟივანშის თავისი რთული ცხოვრების შესახებ მოუთხრობდა. იგი ბავშვზე ოცნებობდა, მაგრამ ვიდრე ქვეყანას ორ ვაჟს – შონსა და ლიუკს მოუვლენდა, რამდენჯერმე მოეშალა მუცელი. ჟივანშიმ მისი უიღბლო ქორწინების შესახებაც იცოდა ჯერ მსახიობ მელ ფერერთან, მერე იტალიელ ფსიქიატრ ანდრეა დოტისთან და მისი დიდი ხნის ნანატრი ბედნიერების მოწმეც გახლდათ მსახიობ რობერტ უოლდერთან.

ოდრი ჰეპბერნმა მსახიობის კარიერა 38 წლის ასაკში მიატოვა, რათა თავი მთლიანად შვილების აღზრდისათვის მიეძღვნა, 1988 წელს კი იუნესკომ კეთილი ნების ელჩად აირჩია. მსახიობი მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა, აარსებდა ფონდებს, იბრძოდა აფრიკელი ბავშვების უფლებებისათვის, სიკვდილის პირას მყოფიც არ წყვეტდა მუშაობას.

„ჩემს კლიენტთა შორის უამრავი მსახიობი ყოფილა, – განაგრძობს ჟივანში, – მარლენ დიტრიხი, ლორენ ბაკალი, ელიზაბეტ ტეილორი, ჯინ სებერგი, მაგრამ არცერთი მათგანი არ ყოფილა ისე ძვირფასი, როგორც ოდრი. იგი არაჩვეულებრივად ერთგული, თავდადებული ადამიანი იყო და ყოველთვის ახსოვდა ჩვენი პირველი შეხვედრა, როცა დახმარებაზე უარი არ ვუთხარი. უკანასკნელ წლებში ამერიკიდან კვირაში ორჯერ მირეკავდა და მეუბნებოდა: „მაპატიე, რომ გაცდენ, მაგრამ უბრალოდ, მინდა იცოდე, რომ ძალიან მიყვარხარ“.

ჟივანშიმ მისი პირმშოს, შონის ნათლობის პერანგი შეკერა, დაკრძალვისას კი ოდრის კუბო მიჰქონდა. „ახლაც არ მჯერა, რომ ოდრი გარდაიცვალა, ჩემთვის ის დღესაც ცოცხალია“. – ამბობს კუტურიე.

ოდრი ჰეპბერნი 1993 წელს გარდაიცვალა. მისი აღსრულებიდან ორი წლის შემდეგ თავის საყვარელ საქმეს იუბერ დე ჟივანშიც ჩამოშორდა და მოდების სახლი ინგლისელ მოდელიერს ალექსანდრე მაკკუინს გადააბარა.

ასე დამთავრდა კიდევ ერთი ლამაზი ერა მოდისა და კინოს სამყაროში.

**მოამზადა მანანა იმესაშვილმა**

იშვიათად თუ მოიძებნება დიასახლისი, ჩვენგან მითითებული კერძები მისთვის ცნობილი რომ არ იყოს, მაგრამ დღევანდელ ეკონომიკურ კრიზისულ პირობებში ალბათ ბევრ ჩვენგანს უჩნდება საფიქრალი „რა მოვამზადოთ სადილად...” ამიტომ გამოცდილ დიასახლისებს შევახსენებთ, ახალბედებს კი ვთავაზობთ რამდენიმე კერძის მომზადების წესს.

*საგაზაფხულო კერძები*

## მჟაუნას წვნიანი

მასალა: 3-4 თავი (200 გრამი) ხახვი, 150 გრამი კარაქი ან ნახევარი ჩაის ჭიქა ზეთი (სასურველია მზესუმზირის), ლიტრანახევარი წყალი, 4-5 კვერცხი, 2 კონა მჟაუნა, თითო კონა კამა, ოხრახუში და ახალი ხახვი.

ხახვი მოშუშეთ ცხიმში (შეყვითლებამდე), დაასხით ქაფქაფა წყალი, შეაზავეთ მარილით, 1-2 წუთის შემდეგ ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, კამა და ოხრახუში. 2-3 წუთის შემდეგ ჩაამატეთ ზომიერად დაჭრილი მჟაუნა და 2 წუთის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან. თუ გნებავთ, წვენში ვიდრე მწვანილს ჩაყრით, ჯერ კვერცხები ჩაახალეთ, შემდეგ ყველაფერი ისე, როგორც მითითებულია; თუ არა, მაშინ წინასწარ მაგრად მოხარშული კვერცხები გაჭერით შუა-შუა და თითო კვერცხი წვენის საინზე დასხმამდე დააწყვეთ თეფშზე. წვენს თეფშზე გადმოღების შემდეგ შეგიძლიათ დაუმატოთ არაჟანი.

## კომბოსტოს წვნიანი (და არა ბორში)

მასალა: 300 გრამი კომბოსტო (თუ ყვავილოვანს ისურვებთ, 500 გრამი), 300 გრამი ახალი ტყემალი, ან ტყემლის (მჟავე) საწებელა. 200-300 გრამი ხახვი, თითო კონა ოხრახუში, კამა, ახალი ხახვი, ტარხუნა. 1 ჩაის ჭიქა ზეთი ან 150 გრამი კარაქი. ლიტრანახევარი წყალი.

მოშუშეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, დაასხით მდუღარე წყალი და მაშინვე ჩაყარეთ წვრილად (მოგრძოდ) დაჭრილი კომბოსტო. 4-5 წუთის დუღილის შემდეგ ჩაყარეთ ტყემალი და წვრილად დაჭრილი კამა, ოხრახუში, ხახვი და შეაზავეთ მარილით. 5 წუთის შემდეგ ჩაამატეთ ღერძებმოჭრილი ტარხუნა. თეფშზე დასხმულ წვენს დაუმატეთ არაჟანი ან მაწონი.

## კარტოფილი ხაჭოთი

მასალა: 500 გრამი მშრალი (გლეხური) ხაჭო. 500 გრამი არაჟანი, 500 გრამი მოხარშული, კუბიკებად დაჭრილი კარტოფილი, 2 კონა წვრილღეროებიანი ქორფა ხახვი, 2 კონა კამა.

მიქსერით დამუშავებულ ან ძალიან კარგად დაზელილ ხაჭოს შეურიეთ ნახევარი (250 გრამი) არაჟანი, წვრილად დაჭრილი ხახვი, კამა და მარილი გემოვნებით. გაყავით ორ ნაწილად, ასევე გაყავით შუაზე კარტოფილი. ერთი ნაწილი მოათავსეთ გაშლილ დიდ თეფშზე ან ლანგარზე და დაფარეთ ზემოდან ხაჭოს ერთი ნაწილით, შემდეგ ისევ კარტოფილი და ისევ ხაჭო. მორჩენილი არაჟანი თანაბრად გადაანაწილეთ ზემოდან და ბოლოს მოაფრქვიეთ შავი პილპილი.

უკარტოფილოდ, მწვანილებით შეზავებული ხაჭო და არაჟანი ძალიან სასიამოვნო საჭმელია ცხელ მჭადთან, მხოლოდ ხახვსა და კამას დაემატება ქინძი.

## კომბოსტოს სალათა

ერთი კილოგრამი კომბოსტო დაჭერით ძალიან წვრილად ან დახეხეთ მსხვილ სახეხზე, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით ქაფქაფა, ოდნავ მარილიანი წყალი, 5 წუთის შემდეგ გადაწურეთ და კარგად დაწრიტეთ წყლისაგან. შეურიეთ წვრილად დაჭრილი თითო კონა ახალი ხახვი, ქინძი, კამა, ოხრახუში, მოასხით ნახევარი ჩაის ჭიქა მზესუმზირას ზეთში შერეული ერთი ღვინის ჭიქა თეთრი ღვინის ძმარი, აურიეთ კარგად და თუ მარილი არ ყოფნის, დაუმატეთ თქვენი გემოვნებით.

ზეთისა და ძმრის ნაცვლად შეგიძლიათ შეაზავოთ 200 გრამი არაჟანი და ამდენივე მაიონეზი.

## სახალისო სალათა

500 გრამი კარტოფილი, 1-2 თავი (200 გრამი) ჭარხალი, 300 გრამი სტაფილო, 2-3 თავი ხახვი, 1 კონა ახალი ხახვი, 300 გრამი კიტრის მწნილი, ერთი კონა ბოლოკი, ერთი დათლილი ჭიქა მზესუმზირის ზეთი, თითო კონა ქინძი, კამა, ოხრახუში.

კარტოფილი და ჭარხალი კარგად გარეცხეთ. ქვაბის ძირში მოათასეთ ჭარხალი, შემდეგ კარტოფილი და ერთად მოხარშეთ. მოიხარშება თუ არა კარტოფილი, წყალი გადაწურეთ და დაფცქვენით, ჭარხალი ოდნავ უმი იქნება, მაგრამ ასეა საჭირო.

კარტოფილი პატარა ოთხკუთხედებად დაჭერით, დახეხეთ ჭარხალი მსხვილ სახეხზე, ბოლოკი თუ დიდი თავებია, დახეხეთ მსხვილ სახეხზე, ხოლო თუ ახალი ბოლოკია, დაჭერით თხელ ნაჭრებად. ხახვი დაჭერით ნახევარ რგოლებად, სტაფილო დახეხეთ შიდა გულის გარეშე (მსხვილ სახეხზე). კიტრი დაჭერით ჯერ შუაზე, შემდეგ ძალიან თხელ ნაჭრებად. ყველაფერი მოათავსეთ თასზე, შეურიეთ წვრილად დაჭრილი ყველა მწვანილი, შეაზავეთ მარილით, შავი პილპილით და მოასხით ზეთი. თუ სიმჟავე არ ყოფნის, დაუმატეთ ცოტა ძმარი. გადაიტანეთ შესაფერის ჭურჭელში და ზემოდან მოაფრქვიეთ მწვანილი.



**რედაქციის მისამართი:**
**280096, ქ. თბილისი,**
**მ. კოსტავას ქ. №14.**
**V სართული**
**რედაქტორის**
**ტელეფონი:**
**99-98-71**

ოთხ გვერდზე მეტ
ნაბეჭდ მასალას ნუ
შემოგვთავაზებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დამიბრუნეთ ჩემი ქალობა

გავიხსენოთ ორი ათეული წლის წინანდელი საქართველო, აყვავებული და მდიდარი ქვეყანა, სადაც არავის იტაცებდნენ, არც ძარცვავდნენ, არავის შიოდა, არავის სწყუროდა, არც ერთი ხელგაწვდილი მათხოვარი არ გვყავდა, თითქმის ყველა ერთნაირად ვცხოვრობდით.

მაშინ თბილისს პატარა პარიზს ეძახდნენ, ქუჩებში სიცოცხლე დუღდა. ქალები ქალობდნენ, მამაკაცები კაცობდნენ. შაბათკვირას მთელ ქალაქში საქორწინო სირენების ხმა ისმოდა.

მერე დემოკრატიამ თუ ველურმა კაპიტალიზმმა საშინელება მოგვიტანა, ომები და განუკითხაობა დაამკვიდრა, ეკონომიკურ ვარდნას საყოველთაო სიღატაკე, გაჭირვება მოჰყვა, ერი დაჩაჩანაკდა.

არნახულმა სიდუხჭირემ ცუდ დღეში ჩააგდო ქართველი ქალი, სადაა მისი ჯანმრთელობა, სილამაზე, სილაღე, სიკისკასე.

დღეს ქალების უმეტესობა (60 პროცენტი მაინც) გაუსაძლის, მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებს. არენაზე გამოვიდნენ ქალთა ახალი სახეები – ბიზნესმენები, ხელზე მოვაჭრე, ოჯახის მარჩენალი ქალები.

დიახ, ქუჩაში დადის უამრავი უგემოვნოდ ჩაცმული, გაშეშებული სახის, თითქოს მკვდარი ქალი. მან იტვირთა ქალის და მამაკაცის როლი. მან უნდა არჩინოს ოჯახი, გაზარდოს შვილები და უყუროს ნერვებმოშლილ, უმუშევარ, მხრეზჩამოყრილ საცოდავ ქმარს.

ასეთ ყოფაშია დღეს ქართველი ქალი, რომელსაც სიცოცხლე მობეზრებია, ქალური გრძნობები საერთოდ აღარ გააჩნია, გათიშულია და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, სად იშოვოს ფული, რომ ოჯახი დააპუროს, ხვალინდელი დღე როგორმე გაიტანოს, ათასი საფიქრალი ღრღნის და სტანჯავს...

„გუშინ იტალიიდან ჩამოვფრინდი. ძალიან ცუდად ვიმგზავრე. აქედანვე გაციებული წავედი. მეგობრები რომ არ მყოლოდა, ალბათ ვერაფერს ავირჩევდი. ბაზრებში და მაღაზიებში ძლივს დავლასლასებდი, მაგრამ ძალა მოვიკრიფე, რომ იაფი და სეზონისთვის შესაფერისი საქონელი მეყიდა. აქ ხომ უნდა მოვიგო იმდენი, ოჯახის სარჩენადაც და მეორედ წასვლისთვისაც მეყოს. დაიწვა ქართველი ქალის ბედი, როდემდე ვიფრინო და ვიწანწალო წინ და უკან. როდემდე გავუძლო ამ საშინელ ცხოვრებას,“ – გვიყვება თამრიკო.

მას სახლში ორი შვილი, მეუღლე და დედა ელოდებოდნენ. დათო ფიზიკოსია და ოთხი წელია არ მუშაობს. დედა – პენსიონერი, ბავშვები სკოლაში დადიან.

რა უჯდება ახალგაზრდა, მშვენიერ ქალს ეს ყველაფერი. სახლამდე რომ მიაღწევს, სამი დღე მკვდარივით სძინავს, მერე ჩამოტანილი საქონლის რეალიზებაზე ზრუნვაა...

ქართველი ქალის ისედაც დამძიმებულ ცხოვრებაში ყველაზე დიდი საშიშროება თრეფიკინგია, ბევრი ქალი შინ სახელის გატეხას ერიდება და საზღვარგარეთ მიდის მოსამსახურედ, ზოგჯერ იძულებით, თავმობეზრებული უმუშევრობითა და უფულობით, საძრახისი საქმის საკეთებლადაც... მაგრამ ვაი, რომ ყველას არ უმართლებს და ცუდ დღეში ვარდებიან, ზოგი ციხეში ხვდება, ზოგს სუტენიორები ჰყიდიან.

„ფაკულტეტზე გარეგნობით, ჭკუით და მოხერხებით გამოვირჩეოდი. მაგრამ ბედმა მიმტყუნა, ოჯახი დამენგრა. დავრჩი დედასთან და ბავშვთან ერთად უფულო და უსამსახურო.

გადავწყვიტე უცხოეთში წავსულიყავი სამუშაოდ. ფირმასთან ხელშეკრულება გავაფორმე და ევროპის ერთ-ერთ ქალაქში, სადაც „ვითომ“ სპეციალისტი სჭირდებოდათ, სასწრაფოდ გავფრინდი.

თვითმფრინავი რომ დაჯდა, აეროდრომზე ორი ქართველი მამაკაცი დამხვდა. მათ იქაური ფირმის წარმომადგენლად გამაცნეს თავი (რა კარგი მომსახურებაა-მეთქი, გავიფიქრე), ჩამსვეს მანქანაში, ჩამომართვეს საბუთები და სასტუმროში მიმიყვანეს. იქ ვიღაც „ძიას“ წარუდგინეს ჩემი თავი და აქედან დაიწყო ჩემი წამება.

მე გაყიდული აღმოვჩნდი. სამი თვე ის პირუტყვი ხელიდან არ მიშვებდა. მერე სხვა ქალაქში ვიღაცეებს მიმყიდა. მათი ლაპარაკი და ვაჭრობა დაწვრილებით მესმოდა (ინგლისურის სპეციალისტი ვარ), მაგრამ ხმას ვერ ვიღებდი, მეშინოდა, არ მოვეკალი, რადგანაც კარგად გავაცნობიერე, საშინელი დანაშაულის – თრეფიკინგის მსხვერპლი ვიყავი. გულს ვასკდებოდი და თავ-ბედს ვიწყევლიდი, სად და როგორ მოვტყუვდი, ვწყევლიდი ქართველი ქალის გაჩენას, ვწყევლიდი იმ კრიმინალებს, უსინდისო სუტენიორებს, რომლებმაც ჩემი სხეულის გაყიდვით ალბათ, დიდი ფული იშოვეს.

ბოლოს, მესამედ რომ გავიყიდე, ახალი პატრონი სასტუმროს მფლობელი აღმოჩნდა, შედარებით ლმობიერი (უცხოელ მამაკაცზე საშინელი მხეცი არ არსებობს). მას ვთხოვე, პატარა სამუშაო მოეცა, რომ არ გავგიჟებულიყავი. ნება დამრთო, სასტუმროს რესტორანში მემუშავა. იქ გავიცანი ორი ქართველი ქალი. მათი დახმარებით სახლში დავრეკე, საწყალი დედაჩემი სიხარულისაგან გაგიჟდა, დაღუპული გვეგონე. შვიდი თვის წასული ვიყავი და დღემდე არაფერი იცოდნენ.

მერე სიმწრით მოგროვილი ფული ჩემებს გავუგზავნე და გამოსასყიდზე დავიწყე ფიქრი, მაგრამ ამდენს სად ვიშოვიდი (დაახლოებით ათი ათასი დოლარი). მე ხომ ტყვე ვიყავი, 21-ე საუკუნის გაყიდული ქართველი ტყვე, დიახ, თანამემამულე „ვაჟკაცებმა“ გამყიდეს.

ერთ დღეს რესტორანში ახალგაზრდა ქართველი ბიზნესმენი მოვიდა. მეგობარმა ქალებმა ჩემი თავი გააცნეს და, როცა თავსდატეხილ უბედურებაზე დაწვრილებით მოვუყევი, ძალიან შეწუხდა.

ჩემი შვილის, გიორგის სახელს დავარქმევ ჩემს მხსნელს (ვინაობას არ ვამხელ, ინკოგნიტოდ დარჩეს). ის მეორე დღესაც მოვიდა და დიდხანს ესაუბრა სასტუმროს მეპატრონეს. მერე მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, თავი სიზმარში მეგონა.

ერთ მშვენიერ დილას, ჩემმა პატრონმა უგულოდ გამომიცხადა, რომ თავისუფალი ვიყავი და, როცა გიორგიმ გასამგზავრებლად საბუთები და ბილეთები გადმომცა, იმდენად დაუჯერებელი იყო, სიხარულისგან ისტერიულად ავტირდი...

გიორგი სიცოცხლის ბოლომდე ჩემი სალოცავი და სათაყვანებელია, ნამდვილი რაინდი, რომელმაც უცხო ქვეყანაში გაყიდული, გაუბედურებული ქართველი ქალისათვის, უპატრონოდ დარჩენილი პატარა ბიჭისთვის დიდი თანხა გაიღო გამოსასყიდად და ამით თითქოს ნამუსი მოხადა იმ ზნედაცემულ ქართველებს...

თბილისში რომ ჩამოვფრინდი, მიწას ფეხი დავადგი, მუხლებზე დავემხე და ღმერთს მადლობა შევწირე.... დანარჩენს აღარ მოგიყვებით. ამჟამად პრესტიჟულ ქართულ ფირმაში ვმუშაობ და კარგი ანაზღაურება მაქვს.

მინდა ყველა გავაფრთხილო, წასულებიდან ზოგს უმართლებს, ზოგი კი თავ-ბედს იწყევლის, რადგანაც უკეთესი მომავლის მაძიებლები ხშირად გაყიდული სხეულისა და შებღალული პატიოსნების ამარა რჩებიან,“ – დაასრულა თამილამ.

* * *

დამიბრუნეთ ჩემი ქალობა, ჩემი ქალური მოვალეობები, ჩემს სუსტ მხრებს არ ძალუძს ორივე ტვირთი – ქალისაც და მამაკაცისაც ზიდოს, მე ხომ ქალი ვარ, სუსტი ქალი...

დღეს ბევრი ქართველი ქალი ამ ფორმულით ცხოვრებას ნატრობს...

ირმა ჩოფიკაშვილი

ინდექსი 76178



ფასი სახელშეკრულებო

ეროვნული ბიბლიოთეკა